პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი | № 115 (10201) | სამშაბათი, 17 მაისი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

## დღეს ნომერში:

მრეწველობის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირი. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის სიტყვა (1-ლი გვერდი).

მრეწველობის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირი, რომელიც მოიწვიეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ (მე-2 გვერდი).

ვარშავიდან გამოემგზავრა სსრ კავშირის დელეგაცია, რომელიც მონაწილეობდა ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ ევროპის სახელმწიფოების თათბირში (მე-2 გვერდი).

პრაღიდან გამოემგზავრა სსრ კავშირის მთავრობის დელეგაცია (მე-3 გვერდი).

„ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო სტალინური პრემიების კომიტეტში. — საერთაშორისო სტალინური პრემია გადაეცა საფრანგეთის საზოგადო მოღვაწეს ალენ ლე ლეაპს (მე-3 გვერდი).

ვენაში ხელი მოაწერეს სახელმწიფო ხელშეკრულებას დამოუკიდებელი და დემოკრატიული ავსტრიის აღდგენის შესახებ. ვ. მ. მოლოტოვის სიტყვა (მე-3 გვერდი).

ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი ვენაში ავსტრიის წარმომადგენელთან ერთად (მე-3 და მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

# მრეწველობის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირი

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის სიტყვა

**ჩვენი თათბირი, თქვა ამხანაგმა ნ. ა. ბულგანინმა, მოიწვიეს პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მთავრობამ იმისათვის, რომ განვიხილოთ მეცნიერების, ტექნიკის მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების წარმოებაში ფართოდ დანერგვის საფუძველზე მრეწველობის შემდგომი აღმავლობის ღონისძიებათა საკითხი.**

სოციალისტური მრეწველობა, რომელიც სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგია, განუხრელი აღმავლობის გზით მიდის. ჩვენი მრეწველობის განვითარებისა და განსაკუთრებით მძიმე ინდუსტრიის განვითარების ტემპი რამდენჯერმე უფრო მაღალია წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების მრეწველობის განვითარების ტემპზე.

წელს სამრეწველო პროდუქცია დამზადდება დაახლოებით 80 პროცენტით მეტი, ვიდრე 1950 წელს, და სამჯერ და უფრო მეტი, ვიდრე ომამდელ 1940 წელს.

ჩვენი მრეწველობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით წარმატებით სრულდება და ყველა საფუძველლია ვიფიქროთ, რომ იგი გადაჭარბებით იქნება შესრულებული.

პარტია გვასწავლის არ დავჯერდეთ მიღწეულს, არამედ მეტი ყურადღება მივაქციოთ გადაუჭრელ ამოცანებს და არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ მთლიანად წარმოების გეგმების შესრულების საერთო ციფრებს ეფარება ბევრი საწარმო, რომლებიც სისტემატურად ვერ ასრულებენ დავალებებს და ჩვენს ქვეყანას დიდი რაოდენობით აკლებენ პროდუქციას.

ამხანაგი ბულგანინი ამბობს, რომ თათბირის განსახილველად დასმულ საკითხს დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. წარმოებაში მხოლოდ მეცნიერებისა და ტექნიკის იმ უახლეს მიღწევათა დანერგვას, რომლებიც ტექნიკური პროგრესის საფუძველს შეადგენენ, შეუძლია უზრუნველყოს შრომის ნაყოფიერების ჩქარი ზრდა, რომელიც, ლენინის განმარტებით, საბოლოო ანგარიშით ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარია ახალი საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვებისათვის.

უკანასკნელ 26 წელიწადში შრომის ნაყოფიერება ჩვენს მრეწველობაში ექვსჯერ და მეტად გადიდდა.

ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების უზრუნველყოფისათვის საჭიროა შრომის ნაყოფიერება ავიყვანოთ ახალ საფეხურზე. ამ ამოცანის გადაჭრა შეიძლება მხოლოდ წარმოებაში ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის განუხრელი და მტკიცე დანერგვით, არსებული მანქანებისა და მოწყობილობის მოდერნიზაციით და წარმოების ორგანიზაციის ძირეული გაუმჯობესებით.

სახალხო მეურნეობაში ახალი ტექნიკის განვითარებისა და დანერგვის და შრომის ნაყოფიერების გადიდების საქმეში განსაკუთრებით დიდი როლი ეკუთვნით მანქანათმშენებლებს. მანქანათმშენებელთა ზემოქმედება ჩვენი ქვეყნის ტექნიკურ პროგრესზე მიმდინარეობს ორი მიმართულებით. ერთი მხრივ — ეს არის ახალი ტექნიკის დანერგვა და შრომის ნაყოფიერების გადიდება თვით მანქანათმშენებელ ქარხნებში მანქანებისა და მოწყობილობის დამზადებისას, მეორე მხრივ — ისეთი მანქანების შექმნა და გამოშვება, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ტექნიკური პროგრესი მთელ სახალხო მეურნეობაში.

თუ ომის დროს და პირველ წლებში მის შემდეგ მანქანათმშენებლობაში ფართოდ ინერგებოდა მუშაობის ისეთი პროგრესული მეთოდები, როგორიც არის ნაკადური ხაზები, ავტომატური და ნახევრადავტომატური შედუღება, ლითონის ჩქაროსნული ჭრა, მაღალი სიხშირის დენებით გახურება და მთელი რიგი სხვა მეთოდები, ახლა ცოტა რამ თუ ისმის ახალ დიდ ტექნოლოგიურ ღონისძიებებზე მანქანათმშენებლობაში. ჩვენი მანქანათმშენებლები ძირითადად სჯერდებიან უკვე ათვისებული ტექნოლოგიური პროცესების გამოყენებას, მაშინ როცა არსებობს შემუშავებული ახალი პროგრესული ტექნოლოგიური პროცესები, რომლებიც შესაძლებელს ხდიან რამდენჯერმე გადიდდეს შრომის ნაყოფიერება, მკვეთრად შემცირდეს ლითონისა და მასალების ხარჯი და იმავე ფართობებზე გამოშვებულ იქნას მეტი პროდუქცია.

ნორმალურად არ შეიძლება მივიჩნიოთ მდგომარეობა ჩვენს მანქანათმშენებლობაში, როცა სპეციალური მოწყობილობის არასაკმაო რაოდენობით გამოშვება ჩარხების პარკში ამცირებს დიდი წარმადობის ჩარხების ხვედრითს წონას.

ძლიერ ჩამორჩება სამჭედლო-საწნეხი მოწყობილობის წარმოება. ნელა ინერგება წარმოების ავტომატიზაციის პროცესები. არსებულ მოწყობილობას ბევრ მანქანათმშენებელ ქარხანაში ცუდად იყენებენ. ჩვენ გვაქვს ისეთი ქარხნები, რომლებიც დღემდე უშვებენ მანქანებს, რომლებიც ჩამორჩებიან საზღვარგარეთ ზოგიერთი ქარხნის გამოშვებულ მანქანებს.

შემდეგ ამხანაგი ბულგანინი აღნიშნავს, რომ დიდმნიშვნელოვანი როლი ჩვენი ქვეყნის ტექნიკური პროგრესის უზრუნველყოფისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების საქმეში უნდა ეკუთვნოდეს ჩვენს მეტალურგებსა და ქიმიკოსებს. მეტალურგიულ და ქიმიურ მრეწველობაში გარკვეულ მიღწევებთან ერთად ახალი ტექნიკის დანერგვის საქმეში ორივე ეს დარგი წარმოების ზოგიერთ სახეში ჩამორჩება მსოფლიო ტექნიკის დონეს.

შავ მეტალურგიაში საკმაოდ არ აწარმოებენ მუშაობას სპეციალური, განსაკუთრებით სიცხეგამძლე ფოლადებისა და შენადნობთა ხარისხის გასაუმჯობესებლად. ნელა ინერგება სახრძმედე და ფოლადსადნობი წარმოების მაღალი წარმადობის პროცესები, რომლებიც დამყარებულია ჟანგბადის გამოყენებაზე, საკერძში გაზის წნევის გადიდებაზე, რკინის მადნების გამუალედებაზე, დიდად ცეცხლგამძლე ახალი მასალების, მეტალურგიული პროცესების რეგულირების კომპლექსური ავტომატიზაციის გამოყენებაზე.

შავი მეტალურგიის სამინისტრო სათანადო ყურადღებას არ აქცევს ნაგლინის განსაკუთრებით დეფიციტური და უფრო ეკონომიური პროფილების წარმოებას, რაც სიძნელეებს ქმნის მრეწველობაში და ლითონის გადახარჯვას იწვევს.

ჩვენს მეტალურგიულ მრეწველობაში ჯერ კიდევ ბევრია გამოუყენებელი რეზერვი. ამის დასამტკიცებლად ამხანაგ ბულგანინს მოჰყავს მთელი რიგი მაგალითები.

ქიმიური მრეწველობის სამინისტრო საკმაოდ ვერ ითვისებს კონცენტრირებული მინერალური სასუქების წარმოებას, ახალი ორგანული მასალების, პლასტიკური მასების, ფერადი ლითონებისა და საღებავების შემცვლელების წარმოებას, ჩამორჩება ნავთობისა და ბუნებრივი გაზების ქიმიურად გადამუშავების ორგანიზაციაში.

ლაპარაკობს რა ნავთობის მრეწველობაზე, ამხანაგი ბულგანინი აღნიშნავს, რომ მბურღავთა ცალკეულმა ბრიგადებმა ბურღვის დიდ სიჩქარეებს მიაღწიეს. მაგალითად, გაერთიანება „ტატნეფტში" ოსტატ მუჰალიმ მინიაზის-ძე გიმაზოვის მბურღავთა ბრიგადამ 1954 წელს გაბურღა 16 ათასამდე მეტრი ანუ თვეში ჩარხზე 1.300 მეტრზე მეტი. ცალკეულ ჭაბურღილებში ამ ბრიგადამ თვეში ჩარხზე 2,5-3 ათას მეტრამდე ბურღვის სიჩქარეს მიაღწია.

მაგრამ მთლიანად ნავთობის მრეწველობაში არის ჩამორჩენა ბურღვის სიჩქარეში, აგრეთვე ნავთობის გადამუშავების დარგში.

უნდა ითქვას, განაგრძობს ამხანაგი ბულგანინი, რომ შრომის ნაყოფიერების გადიდების საკითხები დამოკიდებულია არა მარტო არსებული ტექნიკის რაოდენობასა და დონეზე, არამედ მის სწორ გამოყენებაზეც. მაგალითად, ცნობილია, რომ ჩვენი ქვანახშირის მრეწველობა სახალხო მეურნეობის ყველაზე მექანიზებული დარგია. ამავე დროს იგი ჯერ ასრულებს შრომის ნაყოფიერების დავალებებს. ქვანახშირის მუშაკების მუშაობაზე უარყოფით გავლენას ახდენს ის, რომ მექანიზაცია ქვანახშირის მრეწველობაში არა კომპლექსურია და მოიცავს მხოლოდ ქვანახშირის ამოღების ძირითად პროცესებს.

სერიოზული ნაკლოვანებანი აქვთ სატყეო, მსუბუქ და ჩვენი მრეწველობის სხვა დარგებს არსებული ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის გამოყენებისა და ახლის დანერგვაში.

რით შეიძლება ავხსნათ ასეთი მდგომარეობა? საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო სამართლიანად აღნიშნავდნენ, რომ მოწინავე ტექნიკის დანერგვის ჩამორჩენა ხდება იმის შედეგად, რომ მრეწველობის ბევრი მუშაკი იჩენს თვითდამშვიდებას, ყოყოჩობას, მათ დაკარგეს მინდობილი საქმისათვის სახელმწიფოს წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა, დაკარგეს პერსპექტივები და ორიენტირება ტექნიკურ პოლიტიკაში. მთელმა რიგმა მუშაკებმა დაივიწყეს პარტიის მითითებანი, რომ ტექნიკა სულ მუდამ წინ უნდა მიდიოდეს, რომ უამისოდ შეუძლებელია სოციალისტური წარმოების განვითარება.

ჩვენ ვცხოვრობთ მეცნიერებისა და ტექნიკის მეტად სწრაფი განვითარების საუკუნეში, ატომის ენერგიის საუკუნეში. ახლა ცხოვრება ყველაზე უფრო მოითხოვს მრეწველობის ხელმძღვანელი და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისაგან უნარს — სწორად შეაფასონ და გამოიყენონ თანამედროვე მიღწევები, უნარს — განჭვრიტონ მეცნიერებისა და ტექნიკის შემდგომი განვითარება. მაგრამ მრეწველობაში კიდევ არიან ისეთი ხელმძღვანელები, რომლებიც ამჯობინებენ გამოუშვან და გამოიყენონ მოძველებული ტექნიკა, რომლებსაც არა სურთ შეიწუხონ თავი ბევრი შრომით, რაც დაკავშირებულია ახალი, უფრო მოწინავე ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიის ათვისებასთან და დანერგვასთან. ახალი ტექნიკის დანერგვა, როგორც წესი, მოითხოვს წარმოების აწყობილი პროცესის გადაკეთებას, კადრების სწავლებას. ამიტომ ზოგიერთი სამეურნეო მუშაკი ხშირად ებღაუჭება ჩამორჩენილ, მაგრამ კარგად ათვისებულ ტექნიკას.

ჩვენი ცალკეული კონსტრუქტორები და მეცნიერი მუშაკები უსაფუძვლოდ როდი ამბობენ: უფრო ადვილია მანქანის გამოგონება, ვიდრე მისი დანერგვა. დანერგვისათვის საჭიროა უდიდესი გამკაფავი ძალა, ხოლო ყველა გამომგონებელსა და კონსტრუქტორს როდი აქვს ასეთი ძალა.

ახალი ტექნიკის დანერგვა შრომატევადი საქმეა, ხოლო ზოგჯერ ხანგრძლივიც. იგი მოითხოვს სახსრებს, მასალას, დროს. ამ საქმეში სავსებით უნდა გამოჩნდეს სამინისტროების ხელმძღვანელი როლი.

ახალი ტექნიკის დანერგვის ღონისძიებათა დაფინანსებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ამჟამად არსებული სისტემა სრულყოფილი არ არის, აქვს ნაკლოვანებანი და საჭიროა იგი გადაისინჯოს.

ახალი ტექნიკის დანერგვისას, ამბობს ამხანაგი ბულგანინი, რა თქმა უნდა, არ შეიძლება დავივიწყოთ ძველიც. ჩვენ ხომ არ შეგვიძლია ერთბაშად გადავყაროთ მთელი ძველი მოწყობილობა და მანქანები და ისინი ახლებით შევცვალოთ. უნდა განვახორციელოთ ამ მოწყობილობისა და მანქანების მოდერნიზაცია, რათა ისინი უფრო ეფექტიანად გამოვიყენოთ.

ახალი ტექნიკის დანერგვა უნდა გადაწყდეს სახელმწიფოებრივად, მაქსიმალური სარგებლით სახალხო მეურნეობისათვის. ტექნიკა არ შეიძლება მოვწყვიტოთ ეკონომიკას. ახალი ტექნიკის ყოველგვარი დანერგვა მოითხოვს ეკონომიურ დასაბუთებას, გაანგარიშებას, წინასწარ შემოწმებას, რასაც ხშირად ივიწყებენ.

შემდეგ ამხანაგი ბულგანინი ამბობს, რომ მოწინავე ტექნიკის დანერგვა და წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესება არ შეიძლება განვიხილოთ იზოლირებულად, წარმოებაში მომუშავე ადამიანისაგან მოწყვეტით. თუ ამ საქმეში ფართო მონაწილეობა არ მიიღეს მუშებმა, ტექნიკოსებმა, ინჟინრებმა, კონსტრუქტორებმა, ტექნოლოგებმა, თუ არ იქნა მეცნიერებისა და წარმოების მუშაკთა მუდმივი შემოქმედებითი თანამშრომლობა, ვერაფერს ვერ მივაღწევთ. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია მდგომარეობა ტექნოლოგთა კადრების მხრივ. უნდა ავამაღლოთ მათი როლი და წინ წავწიოთ ტექნოლოგიური მეცნიერება.

არის სერიოზული ნაკლოვანებანი საკონსტრუქტორო და სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციების მუშაობაში. ზოგიერთი მათგანი, რომლებიც სუსტად არიან დაკავშირებული წარმოებასთან, მრეწველობას სთავაზობენ ისეთ მანქანებს ან ურჩევენ ისეთ ტექნოლოგიას, რომელიც მოცემულ დროში უკვე განვლილი ეტაპია. ცოტა როდია ისეთი სამეცნიერო დაწესებულება, რომლებიც მუშაობენ ისე, რომ დიდხანს არაფერს იძლევიან, არავითარ ღირებულს არ ქმნიან.

შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და ახალი ტექნიკის დაუფლების საქმეში მუდამ დიდ როლს ასრულებდა და მომავალშიც შეასრულებს სოციალისტური შეჯიბრება. ამასთან ერთად საჭიროა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ წლებში შესუსტდა ჩვენი სამეურნეო მუშაკების, აგრეთვე პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ყურადღება სოციალისტური შეჯიბრებისადმი.

სოციალისტური შეჯიბრების ძირითადი ამოცანა ამჟამად არის წარმოების მოწინავეთა გამოცდილებისა და მიღწევების ფართოდ გავრცელება. მაგრამ წარმოების ნოვატორებსა და მოწინავეებს არ უწევენ დამსახურებულ დახმარებას. მათი გამოცდილება საკმაოდ არ ვრცელდება და მასების კუთვნილება არ ხდება.

არის სერიოზული ნაკლოვანებანი გამომგონებლობის დარგში. გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა განხილვა ხშირად დიდხანს ჭიანურდება. ამ ხნის განმავლობაში ბევრი გამოგონება და რაციონალიზატორული წინადადება ძველდება და მათი დანერგვა წარმოებაში აზრს კარგავს.

აღნიშნა რა, რომ ყველა ეს საკითხი ამ თათბირმა უნდა განიხილოს, საფუძვლიანად გაარკვიოს ისინი და დასახოს იმ ნაკლოვანებათა უსწრაფესად აღმოფხვრის ღონისძიებანი, რომლებიც ხელს უშლიან ახალი ტექნიკის დანერგვას, შემდეგ ამხანაგი ბულგანინი ლაპარაკობს წარმოების ორგანიზაციის საკითხებზე და მოჰყავს ვ. ი. ლენინის შემდეგი სიტყვები: „წესიერად ვერ იმოქმედებენ ვერც რკინიგზები, ვერც ტრანსპორტი, ვერც მსხვილი მანქანები და საწარმოები საზოგადოდ, თუ არაა ნებისყოფის ერთიანობა, მშრომელთა მთელი ერთობლიობის შემაკავშირებელი ერთ სამეურნეო ორგანოდ, რომელიც საათის მექანიზმის სისწორით მუშაობს". (თხზ., ტ. 27, გვ. 245).

ჩვენ, ამბობს ამხანაგი ბულგანინი, საათის მექანიზმის სისწორით მუშაობას ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ. წარმოების ორგანიზაციაში ბევრი ნაკლი გვაქვს. თუ მრეწველობას ავიღებთ მთლიანად, აქ განსაკუთრებით მწვავეა ამჟამად წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების საკითხები. დადგა დრო, რომ ამ საქმეში განვახორციელოთ მობრუნება კოოპერაციის მეტი გაფართოებისა და სპეციალიზებულ საწარმოთა შექმნის მხრივ.

წარმოების ორგანიზაციის დარგში ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიიქციოს საწარმოთა რიტმული მუშაობისა და შინარეზერვების გამოყენების საკითხებმა. მრეწველობის ბევრი დარგის პროდუქციის თითქმის ნახევარი მოდის თვის მესამე დეკადაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ პირველ ორ დეკადაში საწარმოები სრული დატვირთვით როდი მუშაობენ, ხოლო შემდეგ იწყება იერიშობანა. პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიაჩნიათ, რომ საწარმოთა არარიტმული მუშაობა სამარცხვინო და შეუწყნარებელი მოვლენაა. უნდა დავრაზმოთ მთელი ძალები იმისათვის, რომ უმოკლეს ვადაში ბოლო მოვუღოთ მრეწველობის მუშაობის ამ სერიოზულ ნაკლს.

ჩვენს მრეწველობას დიდი რეზერვები აქვს. წარმოების ნოვატორთა გამოცდილება ცხადყოფს, თუ რა ბევრი დამატებითი პროდუქციის მიღება შეიძლება არსებული ტექნიკის უკეთ გამოყენებით, პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვით და შრომის უფრო გაუმჯობესებული მეთოდების გამოყენებით. მაგრამ მრეწველობაში ჯერ კიდევ ცოტა როდია ისეთი მუშაკები, რომლებიც სათანადო ინიციატივას არ იჩენენ წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესებაში.

მრეწველობის ორგანიზაციის ნაკლოვანებანი თავს იჩენენ საწარმოთა მართვის სტრუქტურაში. პარტია და მთავრობა მოითხოვენ გადაჭრით აღმოიფხვრას ხელმძღვანელობის კანცელარიულ-ბიუროკრატული სტილი, შემცირდეს სამმართველო აპარატის რაოდენობა, გაუმჯობესდეს მისი მუშაობა და ხელმძღვანელობის ხარისხი. პარტიის ამ მითითებებს ჯერ კიდევ არასაკმაოდ ახორციელებენ.

საშუალო და პატარა საწარმოებში მართვის სტრუქტურა, როგორც წესი, თითქმის არ განსხვავდება დიდი ქარხნების მართვის სტრუქტურისაგან. მაგალითად, არ შეიძლება ნორმალურად ჩაითვალოს, რომ სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის სამინისტროს ხარკოვის საგზაო მანქანების ქარხანაში 273 მუშაზე არის 10 განყოფილება, 6 საწარმოო საამქრო, ხოლო ქარხნის სამმართველოს შტატებში — 88 კაცი. საჭირო არ არის იმის მტკიცება, თუ რა ძვირად უჯდება ეს სახელმწიფოს და რა გავლენას ახდენს პროდუქციის ღირებულებაზე. უნდა გავაუმჯობესოთ ქარხნების მართვის სტრუქტურა, მოვსპოთ რგოლები, რომლებიც საჭირო არ არის, გავამსხვილოთ წვრილი საამქროები და განყოფილებები.

ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, ამბობს შემდეგ ამხანაგი ბულგანინი, რომ ორი საზოგადოებრივი სისტემის ეკონომიურ შეჯიბრებაში გაიმარჯვებს სოციალისტური სისტემა, როგორც უფრო პროგრესული. მაგრამ ცნობილია, რომ გამარჯვება თვითონ როდი მოდის — გამარჯვებას აწყობენ და ქმნიან ადამიანები. კაპიტალიზმს რომ ეკონომიურ შეჯიბრებაში ვაჯობოთ, ჩვენ მოვალენი ვართ გვქონდეს მოწინავე ტექნიკა, წარმოების უკეთესი ორგანიზაცია და შრომის უფრო დიდი ნაყოფიერება.

ჩვენში არის მთელი კოლექტივების კარგი მუშაობის ბევრი მაგალითი, რომლებიც, მიდიან რა ახალი ტექნიკის დანერგვისა და წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესების გზით, აღწევენ შრომის მაღალ ნაყოფიერებას, თვითღირებულების შემცირებას და გამოშვებული პროდუქციის კარგ ხარისხს.

დავასახელებ ზოგიერთ მათგანს. ესენი არიან მაგნიტოგორსკის მეტალურგიული კომბინატის, დონეცის აუზის შახტ „ზაპადნაია-კაპიტალნაიას", ტუიმაზის ნავთობსარეწის სამმართველოს, ურალის მანქანათმშენებელი ქარხნისა და ბევრ სხვათა კოლექტივები.

ჩვენ გვყავს წარმოების ათასობით მოწინავე, ნოვატორი, რომლებიც გვიჩვენებენ შრომის მაღალი ნაყოფიერების ნიმუშებს, როგორიც არიან, მაგალითად, ქარხანა „ზაპოროჟსტალის" მეფოლადე გრიგოლ კონსტანტინეს-ძე პომიატუნი, დონბასის კალინინის სახელობის შახტის მბურღავთა ბრიგადის ბრიგადირები ივანე ვასილის-ძე პოლიპენკო და პეტრე აზარის-ძე გულიაშოვი, გაერთიანება „ტატნეფტის" ზემოხსენებული ბურღვის ოსტატი მუჰალიმ მინიაზის-ძე გიმაზოვი, კიევის ქარხანა „კრასნი ექსკავატორის" ხარატი ვიტალი კუპრიანის-ძე სემინსკი, მოსკოვის ჩარხმშენებელი ქარხნის „კრასნი პროლეტარის" ხარატი ნიკოლოზ მიხეილის-ძე კუზმინი და ბევრი სხვა.

მეცნიერებისა და წარმოების მოწინავე კოლექტივებისა და ნოვატორების გამოცდილების ფართოდ გავრცელებით, სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობის დონის ამაღლებით ჩვენ შევძლებთ მომავალშიც სწრაფი ტემპით გავადიდოთ პროდუქციის გამოშვება, გავაუმჯობესოთ მისი ხარისხი, შევამციროთ თვითღირებულება. განუწყვეტლივ ვიაროთ წინ ტექნიკური პროგრესისა და შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდების გზით. ჩვენს ქვეყანას აქვს ყოველივე, რაც საჭიროა ამ ამოცანების გადასაჭრელად.

სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის, ამბობს ამხანაგი ბულგანინი, საჭიროა სახელმწიფო დაგეგმვის გაუმჯობესება. ამის მიხედვით ცენტრალური კომიტეტი და მთავრობა შეუდგნენ მთელი რიგი ღონისძიებების განხორციელებას, რომელთა მიზანია გაუმჯობესდეს სახელმწიფო დაგეგმვა და ახალი ტექნიკის დანერგვა სახალხო მეურნეობაში. მიღებულია გადაწყვეტილება სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის რეორგანიზაციის შესახებ, რასაც საფუძვლად დაედო სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის პერსპექტიული დაგეგმვის ძირეული გაუმჯობესების ამოცანა. ამასთან დაკავშირებით გადაწყდა სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტიული გეგმების შედგენა გამოეყოს მიმდინარე დაგეგმვას, რისთვისაც ახლანდელი სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ბაზაზე შეიქმნება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახალხო მეურნეობის პერსპექტიული დაგეგმვის სახელმწიფო კომისია (სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისია) და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახალხო მეურნეობის მიმდინარე დაგეგმვის ეკონომიური კომისია (სსრ კავშირის ეკონომკომისია).

მიღებულია აგრეთვე გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ შეიქმნას ახალი ტექნიკის დანერგვის სახელმწიფო კომიტეტი, რომელიც წარმართავს და შეათანხმებს სამინისტროთა მუშაობას ამ დარგში. მზადდება აგრეთვე სხვა ღონისძიებანი.

დასასრულ ამხანაგმა ბულგანინმა თათბირის მონაწილეებს მოუწოდა ძირითადი ყურადღება მიაქციონ შემდეგ საკითხებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს აზრით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია:

1. მოწინავე ტექნიკის უსწრაფესი შემუშავება და დანერგვა, წარმოების ტექნოლოგიისა და ორგანიზაციის გაუმჯობესება შრომის ნაყოფიერების მკვეთრი გადიდებისათვის.

2. არსებული მოწყობილობისა და საწარმოო ფართობების უკეთ გამოყენება.

3. სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცება და, როგორც უახლოესი ამოცანა, მიმდინარე წლის, მეხუთე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის სახელმწიფო გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება თვითეული საწარმოს მიერ ყველა მაჩვენებლის მიხედვით.

4. მრეწველობის ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის შემცირება და გაიაფება.

ნაკლოვანებათა გაბედული კრიტიკა, თქვა ამხანაგმა ბულგანინმა, დახმარებას გაუწევს ცენტრალურ კომიტეტსა და მთავრობას უფრო ღრმად გაერკვნენ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა მრეწველობაში დანერგვის საქმის მდგომარეობაში, წარმოების ორგანიზაციაში, ამ საკითხების გადაჭრაში მოიზიდონ ჩვენი საზოგადოებრიობა და დასახონ არსებულ ნაკლოვანებათა სწრაფად აღმოფხვრის გზები და საშუალებანი.

# მრეწველობის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირი, რომელიც მოიწვიეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ

16 მაისს მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში, გაიხსნა მრეწველობის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირი, რომელიც მოიწვიეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ. თათბირში მონაწილეობას იღებენ საწარმოების, საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციების ხელმძღვანელები, წარმოების ნოვატორები, მინისტრები, პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული მუშაკები. ისინი შეიკრიბნენ იმისათვის, რომ განიხილონ მეცნიერების, ტექნიკის უახლესი მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის საფუძველზე სოციალისტური მრეწველობის შემდგომი აღმავლობის ღონისძიებანი. სტუმართა შორის არიან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკთა წარმომადგენლები.

პრეზიდიუმში შემოდიან ამხანაგები **ნ. ა. ბულგანინი, კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიქოიანი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბუროვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ა. ი. კირიჩენკო, პ. ნ. პოსპელოვი, მ. ა. სუსლოვი**, რომლებსაც თათბირის მონაწილენი ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან. ყველანი ფეხზე დგებიან.

თათბირს ხსნის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **ნ. ა. ბულგანინი.**

სიტყვა ეძლევა ამხ. **სენინს** — უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს. იგი ლაპარაკობს უკრაინის მშრომელთა წვლილზე სოციალისტური მრეწველობის და, უწინარეს ყოვლისა, მძიმე ინდუსტრიის განვითარებაში. რესპუბლიკის მთელი მრეწველობის საერთო პროდუქცია 1954 წელს 1950 წელთან შედარებით 70 პროცენტით გადიდდა.

ამხ. სენინი ლაპარაკობს დიდ შესაძლებლობებზე, რომლებიც უკრაინის სამრეწველო საწარმოებს აქვთ არსებულ საწარმოო ფართობებზე პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის. ზაპოროჟიეს და ენაკიევოს მეტალურგიული ქარხნების კოლექტივებმა გადაწყვიტეს მარტო აგლომერაციული ფაბრიკების მოწყობილობის გაუმჯობესებით თუჯის გამოშვება გაადიდონ 4-5 პროცენტით. ვოროშილოვის მეტალურგიულ ქარხანაში ნავარაუდევია მაის-ივნისში სამი მარტენის ღუმელი, ხოლო ამა წლის მეოთხე კვარტალში ყველა მარტენი გადაიყვანონ ქრომმაგნეზიტური აგურით კამარების წყობაზე, რაც შესაძლებელს გახდის ფოლადის გამოდნობის გადიდებას 10 პროცენტით. პროდუქციის გამოშვების გადიდების დიდი შესაძლებლობანი აქვთ მსუბუქი მრეწველობის საწარმოებს. ლვოვის № 3 ტყავეულის ქარხანამ, სტანისლავის № 14 ტყავეულის ქარხანამ გადაწყვიტეს ტყავის წარმოების გაუმჯობესებით და მისი მექანიზაციით ჩვენს ქვეყანას დამატებით მისცენ ტყავის საქონლის ისეთი რაოდენობა, რომლისგანაც შეიძლება შეიკეროს 4-5 მილიონი წყვილი ფეხსაცმელი, ესე იგი იმდენივე, რამდენიც ორ ახალ დიდ საწარმოს შეუძლია მოგვცეს.

ორატორი ლაპარაკობს იმაზე, რომ საჭიროა გაუმჯობესდეს სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა საქმიანობა, რომ ინსტიტუტებმა ექსპერიმენტული მუშაობა გადაიტანონ უშუალოდ წარმოებაში.

კომბინატ „კუზბასუგოლის" უფროსმა ამხ. **კოჟევინმა** თქვა, რომ, თუმცა კომბინატი ასრულებს ქვანახშირის ამოღების პროგრამას, შახტებში არსებული რეზერვები ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის გამოყენებული. სუსტად ინერგება ახალი ტექნიკა და შრომის პროგრესული მეთოდები, რის შედეგადაც კომბინატის ბევრი შახტი და ტრესტი ვერ ასრულებს შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმას. ამხ. კოჟევინს მოჰყავს კომბინატის მოწინავე კოლექტივების მუშაობის მაგალითები. შახტ „პოლისაევსკაია 1"-ის კოლექტივმა დანერგა წარმოების პროცესების კომპლექსური მექანიზაცია, რის მეოხებითაც მკვეთრად გადიდდა შრომის ნაყოფიერება და მნიშვნელოვნად გაიზარდა ქვანახშირის ამოღება.

ამხ. კოჟევინი აკრიტიკებს სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს, აგრეთვე ქვანახშირის მანქანათმშენებლობის სახელმწიფო საპროექტო-საკონსტრუქტორო და საექსპერიმენტო ინსტიტუტს, რომლებიც სუსტად მუშაობენ ახალი ტექნიკის შექმნის საკითხებზე, ცუდად განაზოგადებენ მოწინავე გამოცდილებას. იგი ამბობს, რომ ქვანახშირის ამოღების ჰიდრავლიკური და ღია ხერხების დანერგვა შესაძლებელს გახდის მნიშვნელოვნად გადიდდეს შრომის ნაყოფიერება და ქვანახშირის ამოღება.

შემდეგ სიტყვა ეძლევა ურალის მანქანათმშენებელი ქარხნის ნოვატორს მჭედელთა ბრიგადირს ამხ. **ოლეინიკოვს.** იგი ლაპარაკობს მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის გამოცდილებაზე. ტექნოლოგ პოზდეევთან ერთად მან შეისწავლა ბევრი ბრიგადის მუშაობა, თვითეულისაგან გადმოიღო ყველაზე საუკეთესო ხერხები. ამან შესაძლებელი გახადა მნიშვნელოვნად გადიდებულიყო შრომის ნაყოფიერება.

ურალის მანქანათმშენებელ ქარხანაში წარმოების მექანიზაციის შესახებ, აღნიშნავს ამხ. ოლეინიკოვი, გამოვიდა ბევრი ლიტერატურა, გამოშვებულია დიდძალი ნახაზი. მაგრამ ეს გამოცდილება სუსტად ვრცელდება. ურალის მანქანათმშენებელ ქარხანაში, მაგალითად, სხმულების გამოსატანმა სამარჯვმა შესაძლებელი გახადა შრომის ნაყოფიერება გადიდებულიყო 15-ჯერ, ხოლო სამინისტროს სხვა ქარხნებში ეს სამარჯვი არ დანერგილა. ურალის მანქანათმშენებელ ქარხანაში უკვე დიდი ხანია მჭედლებს აძლევენ ნახაზებს, სხვა საწარმოებში კი მჭედელი იღებს მხოლოდ ესკიზს. ეს დიდი ნაკლია, რომელიც მჭედელს ხელს უშლის შემოქმედებითად მიუდგეს დეტალების დამზადებას.

დასასრულ ორატორი ლაპარაკობს იმაზე, რომ ნოვატორებს საკმაო დახმარებას არ უწევენ მეცნიერი მუშაკები.

მეტალურგიული ქარხნის „ზაპოროჟსტალის" მარტენის საამქროს უფროსმა ამხ. **ლესკოვმა** ილაპარაკა იმაზე, თუ საამქრომ როგორ მიაღწია ფოლადის გამოდნობის მნიშვნელოვან გადიდებას ახალი ტექნიკის წარმატებით დანერგვის შედეგად. ორატორი ლაპარაკობს ფოლადის წარმოებაში ჟანგბადის გამოყენების ეფექტიანობაზე. ყველა დიდ მეტალურგიულ ქარხანაში, რომლებიც ახლა შენდება და რომლებსაც ექნებათ დიდი მთლიანფუძიანი მარტენის ღუმელები, საჭიროა გაბედულად აშენდეს ჟანგბადის მძლავრი სადგურები. ამ პირობით მივიღებთ იაფი ფოლადის გამოდნობის უდიდეს ზრდას და მივაღწევთ შრომის დიდ ნაყოფიერებას.

ორატორმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ საჭიროა მოეწყოს მძლავრი კომპრესორების წარმოება მაღალი წნევის შეკუმშული ჰაერის დასამზადებლად.

მინსკის სატრაქტორო ქარხნის დირექტორმა ამხ. **ტარასოვმა** ილაპარაკა წარმოების ორგანიზაციისა და დაგეგმვის საკითხებზე. ერთი და იგივე მანქანები და დეტალები, ამბობს იგი, ერთსა და იმავე დროს მზადდება რამდენიმე ქარხანაში. ხოლო ერთ ქარხანაში ისეთი დეტალების დამზადება, როგორიც შუასადებია, შესაძლებელს გახდიდა წარმოება მოგვეწყო მოწყობილობის მეტი დატვირთვით და მოწინავე ტექნიკის დანერგვით. სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს და სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის სამინისტროს არა სურთ გაერკვნენ ამ საკითხში. წარმოებს მასალის გადატანა ერთი სამინისტროდან მეორეში, არარაციონალურად იხარჯება დიდი სახელმწიფო სახსრები.

ბევრი რამის მოცემა შეუძლია მოწინავე გამოცდილების ღრმად შესწავლას. მაგალითად, 8 თვეში მინსკის სატრაქტორო ქარხნის ფოლადსამსხმელო საამქრომ პროდუქციის გამოშვება 15 პროცენტით გაადიდა. ეს იმიტომ მოხდა, რომ საამქროს მუშაობის დაწყებამდე მისი ყველა ძირითადი მუშა ნახევარ წელიწადს სწავლობდა ხარკოვის მოწინავე ქარხანაში და წარმოებაში მოვიდა საჭირო ცოდნით და გამოცდილებით აღჭურვილი.

სიტყვას ამბობს მოსკოვის სახეხი ჩარხების ქარხნის ჩქაროსანი ხარატი ამხ. **ბიკოვი.** იგი აღნიშნავს, რომ ფართოდ გავრცელდა ისეთი პრაქტიკა, როცა ახალ ჩარხებს აპროექტებენ საკონსტრუქტორო ბიუროები, რომლებიც მოწყვეტილი არიან საწარმოო ბაზებს. ეს დიდი ნაკლია. საჭიროა, რომ ყოველი წამყვანი კონსტრუქტორი ახალი მანქანის დამზადებისას ქარხანას დაუკავშირდეს. ორატორი ხაზგასმით აღნიშნავს იმ დიდმნიშვნელოვან როლს, რომელიც ტექნიკურ პროგრესში აქვთ საქარხნო ლაბორატორიებს, სადაც ხშირად შრომობენ მეცნიერების ნამდვილი ენთუზიასტები.

საბჭოთა მეცნიერებმა, ამბობს ამხ. ბიკოვი, პირველად დაასაბუთეს თეორიულად ლითონის ჩქაროსნული ჭრა. ამ მეთოდს წარმატებით იყენებენ. ამას წინათ მე დავამყარე საბჭოთა ჩარხით ახალი მსოფლიო რეკორდი — ჭრის სიჩქარე ავიყვანე 3.800 მეტრამდე წუთში.

მაგრამ როცა ასეთი შესაძლებლობა გვაქვს, მუშების შრომის ნაყოფიერების საერთო ზრდა მთელ რიგ ქარხნებში საკმაო არ არის. ეს იმიტომ ხდება, რომ მოწინავე გამოცდილების გავრცელების ბეჯითი მუშაობა ხშირად იცვლება ხმაურით ცალკეული რეკორდების შესახებ. ტყუილად ივიწყებენ კომპლექსურ ბრიგადებს. მათ შეუძლიათ ბევრი რამ გააკეთონ შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად.

გაერთიანება „ტატნეფტის" უფროსმა ამხ. **შმარევმა** ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ მისცა შესაძლებლობა თათრეთის მენავთობეებს ნავთობის ამოღების მოწინავე ტექნოლოგიის გამოყენებამ მნიშვნელოვნად გაედიდებინათ ნავთობის ამოღება და შეემცირებინათ მისი თვითღირებულება. შემოიღეს რა ცალკეული ჭაბურღილის ექსპლოატაციის ნაცვლად ფენის მართვა, საბჭოთა მეცნიერებმა და ინჟინრებმა ამით ახალი სიტყვა თქვეს ნავთობის მრეწველობის განვითარებაში. ეგრეთწოდებული წყალდაწნევის მეთოდის გამოყენების ეფექტიანობას ადასტურებს შემდეგი მაგალითი. რომაშკინის საბადოს მხოლოდ ასეთი მეთოდით დამუშავებისას შეიძლება უარი ვთქვათ მრავალი ათასი ჭაბურღილის ბურღვაზე, რაც შესაძლებელს გახდის დავზოგოთ მილიონობით ტონა საბურღი და სამაგრი მილები, ცემენტი, მილიარდობით კილოვატსაათი ელექტროენერგია.

ნავთობის ამოღების გადიდების დიდი რეზერვია ჭაბურღილების ბურღვის სიჩქარის გადიდება. მაგრამ მბურღავთა ბრიგადების მუშაობა ხშირად ცუდად არის მოწყობილი. ჩვენ ხელი ავიღეთ იმაზე, რომ ჭაბურღილებს მთლიანად ადგილზე ვაშენებდეთ. ჭაბურღილმშენებლობის სპეციალურ ბაზაზე წინასწარ იქმნება 100-120-ტონიანი დიდი ბლოკები, ხოლო შემდეგ ისინი თანმიმდევრულად, დაუმონტაჟებლად და დემონტაჟის მოუხდენლად, გადააქვთ 10-12 ახალი ჭაბურღილის ბურღვის ადგილებზე.

შემდეგ ამხ. შმარევი აღნიშნავს, რომ მრეწველობის დაგეგმვის ამჟამად არსებული მეტისმეტი ცენტრალიზაცია ზღუდავს საწარმოთა ხელმძღვანელების ინიციატივას.

სტალინის სახელობის ლენინგრადის ლითონის ქარხნის ჰიდრავლიკური ტურბინების მთავარმა კონსტრუქტორმა ამხ. **კოვალიოვმა** თავისი სიტყვა მიუძღვნა საბჭოთა ჰიდროტურბმშენებლობის შემდგომ პროგრესს. ლითონის ქარხანაში დაპროექტებულ და დამზადებულ ჰიდროტურბინებს წარმატებით იყენებენ მაღალი ენერგეტიკული მაჩვენებლებით საბჭოთა კავშირის მეტწილ ჰიდროსადგურებში. რთული ტექნიკური ამოცანები გადაწყვიტა ქარხნის კოლექტივმა კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურისათვის ტურბინების შექმნისას. შემოქმედებითი ძიების შედეგად ტურბინების გამოშვება ქარხანაში იმავე ფართობებზე ერთიორად გადიდდა. ტურბინებს ახლა უშვებენ მათი მუშაობის ყველა პროცესის სრული ავტომატიზაციის გათვალისწინებით.

ამხ. კოვალიოვი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჭიროა მაქსიმალურად განვითარდეს სამეცნიერო-კვლევითი და საექსპერიმენტო მუშაობა ჰიდროტურბმშენებლობაში და წინადადება შეაქვს ფართოდ მოეწყოს ტექნიკური ინფორმაცია.

დილის სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე გლუხოვის ბამბეულის კომბინატის მრთველი ამხ. **ანანიევა** და ურალის ქიმიური მანქანათმშენებლობის ქარხნის დირექტორი ამხ. **კურგანოვი.**

თათბირი მუშაობას განაგრძობს.

(საქდესი).

# ვარშავიდან გამოემგზავრა

## სსრ კავშირის დელეგაცია, რომელიც მონაწილეობდა მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ ევროპის სახელმწიფოების თათბირში

ვარშავა, 15 მაისი. (საქდესი). დღეს ვარშავიდან მოსკოვს გაემგზავრა სსრ კავშირის დელეგაცია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის მეთაურობით. დელეგაცია მონაწილეობდა ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ ევროპის სახელმწიფოთა ვარშავის თათბირში. დელეგაციის მეთაურთან ერთად მოსკოვს გაემგზავრნენ სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი გ. კ. ჟუკოვი, საბჭოთა კავშირის მარშალი ი. ს. კონევი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. მ. პუზანოვი, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ტ. კალჩენკო, ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე კ. ტ. მაზუროვი, ლატვიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ტ. ლაცისი, ლიტვის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მ. ა. გედვილასი, ესტონეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ა. მიურისეპი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ა. ზორინი.

ვარშავის ცენტრალურ აეროდრომზე სსრ კავშირის დელეგაცია გააცილეს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ბ. ბერუტმა, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ა. ზავადსკიმ, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ცირანკევიჩმა, პოლონეთის მარშალმა კ. როკოსოვსკიმ, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებმა ზ. ნოვაკმა, ე. ოხაბმა, ი. ბერმანმა, ფ. იუქვიაკმა, ფ. მაზურმა, რ. ზამბროვსკიმ, ს. რადკევიჩმა, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა ვ. მატვინმა, ე. მორავსკიმ, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებმა ტ. გედემ, ს. ენდრიხოვსკიმ, ს. ლაპოტმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა ს. სკშეშევსკიმ და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

დელეგაცია გააცილა აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელმა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილემ და თავდაცვის მინისტრმა პინ დე-ხუაიმ, რომელიც ვარშავის თათბირში მონაწილეობდა როგორც მეთვალყურე.

აეროდრომზე იყვნენ სსრ კავშირის ელჩი პოლონეთში პ. კ. პონომარენკო, ვარშავაში აკრედიტებული მთელი რიგი სახელმწიფოების საელჩოთა მეთაურები და თანამშრომლები.

აეროდრომი მორთული იყო სსრ კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით. გაცილების დროს ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული და შესრულდა საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

აეროდრომზე სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა შემდეგი განცხადება გააკეთა:

## ნ. ა. ბულგანინის განცხადება

ამხანაგებო! ნება მიბოძეთ საბჭოთა კავშირის დელეგაციის სახელით, რომელიც ტოვებს პოლონეთის დედაქალაქს, გულითადი მადლობა გადავუხადო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას გულთბილი მიღებისა და სტუმართმოყვარეობისათვის, რაც ჩვენ გაგვიწიეს და რასაც მუდამ ვგრძნობდით ვარშავაში ყოფნის დროს.

მეგობრულმა ატმოსფერომ, სრულმა ურთიერთგაგებამ და ერთსულოვნებამ, რაც ახასიათებდა ჩვენს მუშაობას ვარშავის თათბირზე, ის გამოიწვია, რომ მოკლე ვადაში განხილულ იქნა და გადაიჭრა დიდი მნიშვნელობის საკითხები.

ევროპის რვა სახელმწიფოს წარმომადგენელთა შეხვედრის შედეგად ხელმოწერილია მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება, აგრეთვე მიღებულია გადაწყვეტილება შეიქმნას გაერთიანებული შეიარაღებული ძალები და გაერთიანებული სარდლობა.

ამ ღონისძიებათა განხორციელების აუცილებლობა გამოიწვია საერთაშორისო ვითარებაში მომხდარმა ცვლილებებმა და ახალი ომის საფრთხის გაძლიერებამ. ვარშავაში ხელმოწერილი ხელშეკრულება ჩვენი ქვეყნების პასუხია გერმანული მილიტარიზმის აღორძინებაზე.

ვარშავის თათბირმა მტკიცე საფუძველი ჩაუყარა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა გაერთიანებულ მოქმედებას შესაძლო აგრესორის წინააღმდეგ. ამასთანავე ვარშავაში ხელმოწერილი ხელშეკრულება ახალი სტიმული იქნება იმისათვის, რომ შემდგომ განმტკიცდეს ძმური მეგობრობა, რომელიც არსებობს სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს შორის, და კიდევ უფრო მჭიდრო და ყოველმხრივი თანამშრომლობა განვითარდეს მათ შორის.

გაუმარჯოს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას და სახელოვან პოლონელ ხალხს!

გაძლიერდეს და განმტკიცდეს სოციალიზმისა და დემოკრატიის ბანაკის ყველა ქვეყნის ძმური მეგობრობა!

* * *

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ბოლესლავ ბერუტმა.

## ბ. ბერუტის სიტყვა

ვაცილებთ რა ჩვენს საბჭოთა მეგობრებს, რომლებიც პოლონეთის დედაქალაქს ტოვებენ რვა სახელმწიფოს ვარშავის თათბირის შემდეგ, ჩვენ გვსურს ერთხელ კიდევ გამოვთქვათ ჩვენი ძმური გრძნობები, ერთხელ კიდევ გულითადად ჩამოვართვათ მათ ხელი, ერთხელ კიდევ გავუზიაროთ ჩვენი სიხარული და სიამაყე ერთობლივი დიდი საქმისათვის, რომელიც შევასრულეთ უკანასკნელ — ისტორიულ დღეებში.

რვა სახელმწიფოს მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება, რომელიც შედეგად მოჰყვა ვარშავის თათბირს, ამ ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების ფასდაუდებელი მონაპოვარია. მაგრამ მისი საერთაშორისო მნიშვნელობა გაცილებით მეტია. ვარშავის თათბირზე მიღებულ გადაწყვეტილებებს მტკიცედ და გადაჭრით დაუჭირა მხარი აზიის 600-მილიონიანმა სახელმწიფომ — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ. ეს გადაწყვეტილებანი ჰპოვებენ აგრეთვე იდეურ მხარდაჭერასა და გაგებას ყველა ხალხის მხრივ, რომლებსაც სურთ მშვიდობა და სძულთ აგრესია.

ეს გადაწყვეტილებანი, აღნიშნა ბ. ბერუტმა, გამოხატავენ, ჯერ-ერთი, მეგობარი სახელმწიფოების მძლავრ მონოლითურ ძალას, რომლებიც თანამშრომლობენ, რათა განამტკიცონ თავიანთი უშიშროება მათი საზღვრების, მათი სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ აგრესიის ყოველგვარი აქტისაგან. ამასთან ერთად მიღებული გადაწყვეტილებანი მოასწავებენ წინგადადგმულ ნაბიჯს იმისათვის, რომ სულ უფრო ფართო მასშტაბით განხორციელდეს კოლექტიური უშიშროების იდეა, რომელსაც თანმიმდევრულად და უცვლელად აცხადებს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპის აღიარების საფუძველზე, მიუხედავად მათი პოლიტიკური სისტემებისა.

მეორე, ეს გადაწყვეტილებანი წარმოადგენენ შესანიშნავ წვლილს მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცების საქმეში, რამდენადაც ისინი წინააღმდეგობას უწევენ აგრესიული პოლიტიკის მეთოდებს, სამხედრო ბლოკების მეთოდებს და „ძალის პოზიციის" პოლიტიკას და სახავენ მეგობრული საერთაშორისო თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების გზას — ეკონომიური, კულტურული, ხოლო თუ აუცილებელია, აგრეთვე თავდაცვითი თანამშრომლობის გზას, რომელიც გახსნილია ყველა ხალხისათვის.

მესამე, ისინი გამოხატავენ კავშირში გაერთიანებულ ხალხთა ურყევ და ერთიან ნებას დააწესონ საჭირო და საკმაო გარანტიები, რომლებიც თვითეული ქვეყნის მშვიდობიან მშენებლობასა და შემოქმედებითს შრომას იცავენ გარედან ყოველგვარი თავდასხმისაგან. ამ მიზნებს ემსახურება თავდაცვის ძალების ერთობლივი ორგანიზაცია და მათი გაერთიანებული სარდლობა.

სწორედ ამიტომ, ხაზგასმით აღნიშნა ბ. ბერუტმა, ვარშავის თათბირის მუშაობას ასე დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს როგორც თათბირის მონაწილე ქვეყნებისათვის, ისე საერთოდ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცების საქმისათვის.

როგორც ვარშავის თათბირის მსვლელობაში, ისე მის მიერ მიღებულ ერთსულოვან გადაწყვეტილებებში განსაკუთრებული შემოქმედებითი და აქტიური როლი შეასრულა საბჭოთა დელეგაციამ. მან ვარშავის თათბირზე ჩამოიტანა საბჭოთა მთავრობის ახალი დიდმნიშვნელოვანი წინადადებანი საყოველთაო განიარაღებისა და განიარაღების განხორციელებისადმი ეფექტიანი კონტროლის დაწესების საკითხზე. პოლონეთი და ყველა ქვეყანა, რომელიც მონაწილეობას იღებდა ვარშავის თათბირში, სავსებით და მხურვალედ უჭერს მხარს საბჭოთა წინადადებებს. არც ერთ ჩვენგანს ეჭვი არ ეპარება, რომ საბჭოთა წინადადებების რეალიზაცია იქნებოდა მშვიდობის ნამდვილი უზრუნველყოფისა და განმტკიცების საიმედო საშუალება, დიდ შემსუბუქებას მოუტანდა ასობით მილიონ ადამიანს, რომლებიც შეშფოთებით ადევნებენ თვალყურს გამალებულ შეიარაღებას, იმპერიალისტურმა ქვეყნებმა რომ გააჩაღეს.

პოლონელი ხალხი, თქვა ბ. ბერუტმა, განსაკუთრებული ყურადღებით და შეუსუსტებელი ინტერესით ადევნებდა თვალყურს იმ დიდმნიშვნელოვანი მუშაობის მსვლელობას, რომელიც ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში წარმოებდა. მან დამაჯერებლად დაადასტურა ეს ვარშავის მშრომელთა გუშინდელ მიტინგზე. ამხანაგ ბულგანინის ოპტიმიზმით აღსავსე ბრძნული და მგზნებარე სიტყვები, რომლებიც მან მიტინგზე წარმოთქვა, ღრმად ჩასწვდება გულში სახალხო პოლონეთის ყველა მშრომელ ადამიანს.

ძვირფასო მეგობრებო! სულით და გულით გართმევთ ხელს და მხურვალე მადლობას მოგახსენებთ თქვენი შემოქმედებითი მონაწილეობისათვის თათბირში, რომელსაც ესოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მშვიდობის ბანაკის ყველა ქვეყნისათვის და, განსაკუთრებით, პოლონელი ხალხისათვის. ვაჩაღებთ რა ჩვენს სოციალისტურ მშენებლობას, ჩვენ ვიმუშავებთ იმ დიდი ძალის, იმ გულითადი და შემოქმედებითი მეგობრობის შეგრძნობით, რომელიც ჩვენს ხალხებს აერთიანებს.

# მოსკოვის მეტროპოლიტენს 20 წელი შეუსრულდა

1935 წლის 15 მაისს მოსკოვის მშრომელებმა მიიღეს შესანიშნავი საჩუქარი. გაიხსნა მატარებლების მოძრაობა ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის მეტროპოლიტენის პირველი რიგის ხაზებზე. მარმარილოთი, გრანიტით და ბრინჯაოთი შემოსილმა ცამეტმა დიდებულმა სადგურმა მიიღო პირველი მგზავრები. 11 კილომეტრზე მეტი სიგრძის მიწისქვეშა მაგისტრალმა ერთმანეთთან დააკავშირა დედაქალაქის მჭიდროდ დასახლებული რაიონები.

მოსკოვის მეტროპოლიტენის უფროსმა ამხ. ა. ი. ეგოროვმა საქდესის კორესპონდენტს უამბო, რომ ორი ათეული წლის განმავლობაში მეტროს ტრასის სიგრძე 5,5-ჯერ გადიდდა. აიგო კიდევ 32 სადგური. ესკალატორთა რიცხვი ცხრაჯერ და მეტად გადიდდა. მათი ლენტების საერთო სიგრძე ახლა ოც კილომეტრს აღწევს. რამდენჯერმე გადიდდა ელექტროსადგურთა სიმძლავრე, რომლებიც კვებავენ გზის უზარმაზარ მეურნეობას, ხოლო მოძრავი შემადგენლობის პარკი გადიდდა 13,5-ჯერ.

განუწყვეტლივ იზრდება მეტროს როლი მგზავრების გადაყვანაში. 1935 წელს მიწისქვეშა გზას დღეღამეში გადაჰყავდა 177 ათასი მგზავრი, ხოლო ამჟამად — 2,5 მილიონი კაცი. ოცი წლის განმავლობაში მეტროს ხაზებზე გაიარა თითქმის თხუთმეტმა მილიონმა მატარებელმა. მათ გადაიყვანეს 9 მილიარდი 787 მილიონი მგზავრი, თითქმის ოთხჯერ უფრო მეტი, ვიდრე დედამიწის მთელი მოსახლეობაა. მგზავრების გადაყვანის სიმჭიდროვის მხრივ მოსკოვის მეტროპოლიტენმა უკან მოიტოვა კაპიტალისტური ქვეყნების უდიდესი ქალაქების მიწისქვეშა გზები.

მოსკოვში ამჟამად შენდება მეტროპოლიტენის ახალი ხაზები. წარმოებს მუშაობა მეტროს ფრუნზესა და შჩერბაკოვის რადიუსებზე. ეს ხაზები ქალაქის ცენტრალურ რაიონებს დააკავშირებენ სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენასთან, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ლენინის გორაზე.

# პოლონეთის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ სადილი გამართა ვარშავის თათბირის მონაწილე დელეგაციების პატივსაცემად

ვარშავა, 14 მაისი. (საქდესი). გუშინ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ალექსანდრე ზავადსკიმ სადილი გამართა დელეგაციების პატივსაცემად, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ევროპის სახელმწიფოთა ვარშავის თათბირში ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ.

სადილზე იყვნენ: სსრ კავშირის დელეგაციის მეთაური სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი, დელეგაციის წევრები: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. მ. მოლოტოვი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი გ. კ. ჟუკოვი, საბჭოთა კავშირის მარშალი ი. ს. კონევი და საბჭოთა დელეგაციის სხვა წევრები, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციების მეთაურები და წევრები და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელი, რომელიც მონაწილეობას იღებს თათბირში, როგორც მეთვალყურე.

სადილზე იყვნენ: პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ბოლესლავ ბერუტი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მთავრობის წევრები.

# პრაღიდან გამოემგზავრა სსრ კავშირის მთავრობის დელეგაცია

პრაღა, 15 მაისი. (საკდესი). დღეს პრაღიდან მოსკოვს გაემგზავრა საბჭოთა მთავრობის დელეგაცია, რომელიც ჩეხოსლოვაკიაში იყო საბჭოთა არმიის მიერ ჰიტლერელი ოკუპანტებისაგან ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების მეათე წლისთავთან დაკავშირებით.

საბჭოთა მთავრობის დელეგაციის მეთაური სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ლ. მ. კაგანოვიჩი და დელეგაციის წევრები: უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე დ. ს. კოროტჩენკო, საბჭოთა კავშირის მარშალი კ. ს. მოსკალენკო, მოსკოვის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ა. იასნოვი, ლენინგრადის საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ე. გ. ხახალინა გააცილეს: ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ანტონინ ზაპოტოცკიმ, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ანტონინ ნოვოტნიმ, ეროვნული კრების თავმჯდომარემ ზდენეკ ფირლინგერმა, პრემიერ-მინისტრის პირველმა მოადგილემ იარომირ დოლანსკიმ, პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ვაცლავ კოპეცკიმ, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, შინაგან საქმეთა მინისტრმა რუდოლფ ბარაკმა, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ირჟი გენდრიხმა, მინისტრებმა, ეროვნული ფრონტის ხელმძღვანელებმა, ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის თავმჯდომარემ აკადემიკოსმა ზდენეკ ნეედლიმ, პრაღის პრიმატორმა ადოლფ სვობოდამ და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

საბჭოთა მთავრობის დელეგაცია გააცილეს აგრეთვე სსრ კავშირის ელჩმა ჩეხოსლოვაკიაში ნ. პ. ფირიუბინმა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის, უნგრეთისა და სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნების დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურებმა და პასუხისმგებელმა თანამშრომლებმა.

აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ალმებით, ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული. შესრულებულ იქნა საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო ჰიმნები.

მიმავალთ — საბჭოთა მთავრობის დელეგაციის წევრებს გულთბილი მისასალმებელი სიტყვით მიმართა რესპუბლიკის პრეზიდენტმა ანტონინ ზაპოტოცკიმ, რომელმაც თქვა:

## ა. ზაპოტოცკის სიტყვა

„ძვირფასო ამხანაგებო!

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის, ეროვნული ფრონტის მთავრობის დავალებით, ჩეხი და სლოვაკი ხალხების სახელით გემშვიდობებით თქვენ — ჩვენი განმათავისუფლებლის, მოკავშირისა და მეგობრის — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დელეგატებს.

თქვენ ჩვენთან რამდენიმე დღეს იყავით, მაგრამ ეს უმნიშვნელო დროც საკმარისი იყო იმისათვის, რომ გაგეგოთ, თუ რა მხურვალე სიყვარულს გრძნობენ ჩეხი და სლოვაკი ხალხები სსრ კავშირის ხალხებისადმი, საბჭოთა კავშირის მთავრობისა და კომუნისტური პარტიისადმი, რომლებიც ჩვენს ხალხს მიაჩნია არა მარტო თავის განმათავისუფლებლად დამამცირებელი ფაშისტური მონობისაგან, არამედ აგრეთვე თავის გულახდილ მეგობრად, ურთგულეს მოკავშირედ, საუკეთესო მრჩევლად, მასწავლებლად და თანაშემწედ ბედნიერი მომავლის აგებაში, თავისი სამშობლოს დამოუკიდებლობის დაცვასა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის დაცვაში.

გემშვიდობებით რა დღეს, გთხოვთ გადასცეთ მთელ საბჭოთა ხალხს ჩვენი მხურვალე სალამი, ჩვენი მადლობა და იმის პირობა, რომ არასოდეს არ დავივიწყებთ დიდ მსხვერპლს, რომელიც მან გაიღო ჩვენი განთავისუფლებისათვის. გადაეცით ჩვენი ფიცი, რომ თქვენთან უაღრესი მჭიდრო მეგობრობითა და კავშირით ავაშენებთ ბედნიერ სოციალისტურ მომავალს ჩვენს ქვეყანაში.

თქვენ დარწმუნდით, რომ ყველა ჩვენს მოქალაქეს ჩეხიის მიწაწყალზე და სლოვაკიაში მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ააშენოს თავისი სამშობლო და დაიცვას მშვიდობა ყველა გარემოებაში, საკადრისი პასუხი გასცეს ყველას, ვინც მსოფლიო ბატონობისადმი თავისი დანაშაულებრივი მისწრაფებით ცდილობს გააჩაღოს ახალი ომი და თავს დაატეხოს მსოფლიოს ახალი სისხლისმღვრელი საშინელებანი.

ბედნიერი ვართ, რომ სწორედ ჩვენთან თქვენი ყოფნის დღეებში, ჩვენი განთავისუფლების მეათე წლისთავის დღესასწაულზე, მიმდინარეობდა ვარშავის თათბირი, რომელმაც დაადასტურა ჩვენი მშვიდობის ბანაკის ყველა ქვეყნის ერთიანობა და გადაწყვეტილება — მიიღონ საჭირო ღონისძიებანი, რომლებიც ჩაფუშავენ ომის გამჩაღებელთა გეგმებს. მიიღეთ ჩვენი დაპირება და გადაეცით იგი თქვენს ხალხს, მთავრობას და თქვენს კომუნისტურ პარტიას, რომ ჩეხ და სლოვაკ ხალხებს, როგორც თქვენ ეს მოისმინეთ ათეულ და ასეულ ათასობით ადამიანისაგან ჩვენს ზეიმზე და ქარხნების, ქალაქების, სოფლების დათვალიერებისას, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი სამუდამოდ იარონ საბჭოთა კავშირის მხარდამხარ. თქვენთან ურღვევი კავშირით, დიდ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან მტკიცე ერთიანობითა და მეგობრობით ჩვენ სიხარულითა და იმედით შევყურებთ მომავალს.

გმადლობთ თქვენი სტუმრობისათვის.

გაუმარჯოს ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევ მეგობრობას!"

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა მთავრობის დელეგაციის მეთაურმა ლ. მ. კაგანოვიჩმა.

## ლ. მ. კაგანოვიჩის სიტყვა

პატივცემულო ამხანაგო პრეზიდენტო!

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო, ჩეხოსლოვაკიის მშრომელებო!

საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია, რომელიც ჩეხოსლოვაკიიდან მიემგზავრება, გულწრფელ მადლობას გიძღვნით გულთბილი და გულითადი სტუმართმოყვარეობისათვის და მხურვალე ძმურ სალამს გადმოგცემთ.

ვიდღესასწაულეთ რა თქვენთან ერთად ფაშისტური უღლისაგან ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების მეათე წლისთავი, ჩვენ კიდევ უფრო მეტად დავრწმუნდით, თუ რა ძვირფასია თქვენი ქვეყნის ყველა მშრომელისათვის თავისუფლება და დამოუკიდებლობა, რომლებიც მოპოვებულია მძიმე ბრძოლაში, რა დიდად აფასებს ჩეხოსლოვაკიის ხალხი იმ დახმარებას, რომელიც მას ამ ბრძოლაში გაუწიეს საბჭოთა ხალხმა და მისმა მამაცმა შეიარაღებულმა ძალებმა.

გერმანელთა ფაშისტური ოკუპაციისაგან ჩეხოსლოვაკიისა და მისი სახელოვანი დედაქალაქის პრაღის განთავისუფლების მეათე წლისთავის დღესასწაული იყო ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევი მარადიული მეგობრობის ახალი მკაფიო დემონსტრაცია, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის დიდი ბანაკის დარაზმულობის, ძალისა და უძლეველობის დემონსტრაცია.

საბჭოთა მთავრობის დელეგაცია მადლობას უძღვნის ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და მთავრობას იმისათვის, რომ შესაძლებლობა მისცეს მას გაცნობოდა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებსა და კოოპერაციულ მეურნეობებს, ქალაქებსა და სოფლებს.

ყველგან, სადაც კი ვიყავით, ჩვენ ვნახეთ, თუ რა ენთუზიაზმითა და შემოქმედებითი გატაცებით აშენებენ მუშები, მშრომელი გლეხობა და მშრომელი ინტელიგენცია თავისი სახელოვანი კომუნისტური პარტიისა და თავისი მშობლიური მთავრობის ხელმძღვანელობით, საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყნის ძმური დახმარებით, ახალ, სოციალისტურ ცხოვრებას, იბრძვიან იმისათვის, რომ მათი საყვარელი სამშობლო კიდევ უფრო ლამაზი და მდიდარი გახდეს.

საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციის ყოფნამ სლოვაკიაში და მის შესანიშნავ დედაქალაქ ბრატისლავაში კიდევ უფრო მეტად დაგვარწმუნა, თუ რამდენად მტკიცე და ურღვევია ჩეხი და სლოვაკი ხალხების ძმური ერთიანობა, რა დიდმნიშვნელოვანი ადგილი უკავია თანასწორუფლებიან სლოვაკიას ერთიან ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფოში.

ჩეხოსლოვაკიის ხალხი მტკიცე რწმენით შეჰყურებს თავის ხვალინდელ დღეს, თავის ბრწყინვალე მომავალს. მტკიცე ნაბიჯით მიდის იგი მარქსისტულ-ლენინური გზით წინ, სოციალიზმის გამარჯვებისაკენ.

ჩეხოსლოვაკიაში ყოფნის დროს საბჭოთა მთავრობის დელეგაცია კიდევ უფრო მეტად დარწმუნდა, თუ რამდენად დიდი და გულწრფელია ჩეხოსლოვაკიის ხალხის მისწრაფება მშვიდობისადმი, ხალხთა მეგობრობისა და უშიშროების განმტკიცებისადმი, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისადმი. ჩვენ ვნახეთ, თუ რა მხურვალედ უჭერენ მხარს ევროპის სახელმწიფოთა ვარშავის ისტორიულ თათბირს და რა მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი დაიცვან ევროპის მშვიდობისა და უშიშროების საქმე, განამტკიცონ თავიანთი სამშობლოს ძლიერება და თავდაცვისუნარიანობა. ამავე დროს ჩეხოსლოვაკიის ხალხი მხურვალედ უჭერს მხარს საბჭოთა კავშირის წინადადებებს, რომლებიც შეტანილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განსახილველად ატომური იარაღის აკრძალვის, შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების და ახალი ომის საფრთხის თავიდან აცილების საკითხებზე.

ბრუნდება რა სამშობლოში, საბჭოთა მთავრობის დელეგაცია სულით და გულით უაღრესად გულწრფელად უსურვებს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ყველა მშრომელს ახალ წარმატებებს სოციალიზმის მშენებლობაში, ყველა ხალხის მშვიდობის, უშიშროებისა და მეგობრობისათვის ბრძოლაში.

დაე დღითიდღე მტკიცდებოდეს და მარად ცოცხლობდეს ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის ხალხების ურღვევი ძმური მეგობრობა!

გაუმარჯოს გმირ ჩეხოსლოვაკიის ხალხს, მის თავისუფალ დამოუკიდებელ რესპუბლიკას, მის სახელოვან კომუნისტურ პარტიას და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის სახალხო მთავრობას!

„ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო სტალინური პრემიების კომიტეტში

# საერთაშორისო სტალინური პრემია გადაეცა საფრანგეთის საზოგადო მოღვაწეს ალენ ლე ლეაპს

14 მაისს კრემლში, სვერდლოვის დარბაზში, საერთაშორისო სტალინური პრემია გადაეცა საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციის გენერალურ მდივანს **ალენ ლე ლეაპს**.

გადაცემას დაესწრნენ დედაქალაქის პროფკავშირული აქტივი, მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის წევრები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. დარბაზში იყვნენ აგრეთვე პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი ბიუროს მოსკოვში მიმდინარე სესიის მონაწილენი.

შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატს ალენ ლე ლეაპს, საერთაშორისო სტალინური პრემიების კომიტეტის თავმჯდომარეს აკადემიკოს სკობელცინს, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალურ მდივანს ლუი საიანს, სრულიად ჩინეთის პროფკავშირთა ფედერაციის მდივანს ლიუ ძიძიუს, სრულიად ინდოეთის პროფკავშირთა კონგრესის გენერალურ მდივანს, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ვიცე-თავმჯდომარეს ს. ა. დანგეს, გერმანიის თავისუფალ პროფკავშირთა გაერთიანების თავმჯდომარეს, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ვიცე-თავმჯდომარეს ჰერბერტ ვარნკეს, კუბის მშრომელთა კონფედერაციის გენერალურ მდივანს, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ვიცე-თავმჯდომარეს ლასარო პენიას და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის სხვა მოღვაწეებს, რომლებიც პრეზიდიუმში შემოვიდნენ.

ზეიმის გახსნისას აკადემიკოსმა სკობელცინმა ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ მოვლენას — მშვიდობის სტალინური პრემია ეძლევა მუშათა კლასის წარმომადგენელს.

დამსწრენი ერთსულოვანი აღფრთოვანებით მიესალმნენ საფრანგეთის მუშათა კლასის თვალსაჩინო წარმომადგენელს ალენ ლე ლეაპს, როცა აკადემიკოსმა სკობელცინმა გადასცა მას მშვიდობის სტალინური პრემიის ლაურეატის დიპლომი და ოქროს მედალი.

ალენ ლე ლეაპს მხურვალედ მიესალმნენ საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. **ლ. ნ. სოლოვიოვი**, მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე პროფესორი **ზ. ა. ლებედევა**. მოსკოვის მშრომელთა სახელით სიტყვა წარმოთქვა მოსკოვის დამხარისხებელი სადგურის უფროსმა მემანქანემ **ვ. გ. ბლაჟენოვმა**, რომელმაც სთხოვა ალენ ლე ლეაპს გადასცეს ფრანგ მუშებს მათი საბჭოთა ამხანაგების ძმური სალამი.

ტრიბუნაზეა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური მდივანი **ლუი საიანი**. იგი გულთბილი სიტყვებით ახასიათებს ლაურეატის ცხოვრების გზას, მის მრავალი წლის ნაყოფიერ მოღვაწეობას მუშათა მოძრაობის რიგებში, მის ფართოდ ცნობილ თავმდაბლობას და მუდმივ მზადყოფნას მშრომელთა ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესებისათვის საბრძოლველად. თავიანთი ქვეყნების მუშათა კლასის სახელით ლაურეატს მიესალმნენ აგრეთვე **ლიუ ძი-ძიუ, ს. ა. დანგე, ჰ. ვარნკე, ლასარო პენია**.

ალენ ლე ლეაპისათვის სტალინური პრემიის გადაცემის ცერემონია გადაიქცა მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, სოციალიზმისათვის მებრძოლი მუშათა კლასის საერთაშორისო სოლიდარობის ამაღელვებელ დემონსტრაციად.

გულთბილი შეხვედრით აღელვებულმა ალენ ლე ლეაპმა წარმოთქვა საპასუხო სიტყვა, რომელიც დამსწრეებმა ყურადღებით მოისმინეს. (საკდესი).

# ვენაში ხელი მოაწერეს სახელმწიფო ხელშეკრულებას დამოუკიდებელი და დემოკრატიული ავსტრიის აღდგენის შესახებ

ვენა, 15 მაისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს დილის 11 საათსა და 30 წუთზე შუა ევროპის დროით ბელვედერის სასახლის მარმარილოს დარბაზში საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და ავსტრიის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ავსტრიასთან სახელმწიფო ხელშეკრულებას, რომელიც ითვალისწინებს ავსტრიის როგორც დამოუკიდებელი და დემოკრატიული სახელმწიფოს აღდგენას.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელით ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა და სსრ კავშირის ელჩმა ავსტრიაში ი. ი. ილიჩოვმა; დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის შეერთებული სამეფოს სახელით — საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰ. მაკმილანმა და ინგლისის ელჩმა ავსტრიაში დ. უოლინგერმა; ამერიკის შეერთებული შტატების სახელით — სახელმწიფო მდივანმა ჯ. დალესმა და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა ავსტრიაში ლ. ტომპსონმა; საფრანგეთის რესპუბლიკის სახელით — საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. პინემ და საფრანგეთის საქმეთა რწმუნებულმა ავსტრიაში რ. ლალუეტმა; ავსტრიის რესპუბლიკის სახელით — საგარეო საქმეთა მინისტრმა ლ. ფიგლმა.

ხელშეკრულების ხელმოწერას დაესწრო ოთხი სახელმწიფოს და ავსტრიის დელეგაციათა ყველა წევრი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ავსტრიასთან სახელმწიფო ხელშეკრულების განსახილველად და ხელის მოსაწერად მოწვეულ თათბირში.

ხელშეკრულების ხელის მოწერა მოხდა ავსტრიის რესპუბლიკის კანცლერ ი. რააბისა და ავსტრიის მთავრობის სხვა წევრთა თანდასწრებით. ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა.

## ვ. მ. მოლოტოვის სიტყვა

ბატონო ფედერალურო კანცლერო!
ბატონებო!

ავსტრიასთან სახელმწიფო ხელშეკრულების ხელის მოწერა დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო მოვლენაა. დღევანდელი დღე სასიხარულო დღეა ავსტრიელი ხალხისათვის. ამასთანავე ამ მოვლენას დიდი კმაყოფილებით შეხვდება ყველა ხალხი, რომელიც ესწრაფვის მტკიცე მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის დამყარებას. ხელშეკრულება, რომელსაც ჩვენ დღეს ხელს ვაწერთ, აღადგენს დემოკრატიული ავსტრიის სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას. იგი ახალ ფურცელს გადაშლის ავსტრიელი ხალხის ისტორიაში და ევროპის სახელმწიფოთა ურთიერთობაში.

ავსტრია აცხადებს, რომ იგი მუდმივ ნეიტრალიტეტს დაიცავს. ამიერიდან ევროპის ცენტრში შვეიცარიასთან ერთად იარსებებს ნეიტრალური ავსტრია. საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებმა განაცხადეს, რომ მზად არიან პატივი სცენ ავსტრიის ნეიტრალიტეტს. ნება მიბოძეთ გამოვთქვა რწმენა, რომ სხვა სახელმწიფოებიც დაადგებიან ამ გზას.

საბჭოთა კავშირი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ავსტრიის განცხადებას, რომ იგი არ მიემხრობა რაიმე სამხედრო კავშირს და არ დაუშვებს უცხოელთა სამხედრო ბაზებს თავის ტერიტორიაზე. საბჭოთა ხალხი მხურვალედ მიესალმება ავსტრიის ამ პოზიციას, პატიოსანი ნეიტრალიტეტის პოზიციას, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ევროპის მშვიდობის განმტკიცებისათვის. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ეს პოზიცია სავსებით შეესაბამება ავსტრიელი ხალხის გულწრფელ მისწრაფებებს. ავსტრიის ამ პოზიციის კმაყოფილებით დაუჭერენ მხარს ევროპის, და არა მარტო ევროპის, სხვა ხალხები.

დღეს უნდა გავიხსენოთ, რომ ჯერ კიდევ 1943 წელს, როცა სისხლისმღვრელი ბრძოლები იყო გაჩაღებული ჰიტლერელ დამპყრობთა წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირმა, ინგლისმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა განაცხადეს, რომ მათი სურვილია აღდგენილი იხილონ თავისუფალი და დამოუკიდებელი ავსტრია. ეს ითქვა სამი სახელმწიფოს ცნობილ მოსკოვის დეკლარაციაში, რომელსაც საფრანგეთიც შეუერთდა.

1945 წელს საბჭოთა არმიამ მტრის წინააღმდეგ მძიმე ბრძოლებით გაათავისუფლა ავსტრიის სახელოვანი დედაქალაქი ვენა. ჩვენმა არმიამ ამას მიაღწია ანტიჰიტლერულ კოალიციაში თავის მოკავშირეებთან ერთად. ამით შეიქმნა მოსკოვის დეკლარაციის რეალიზაციის შესაძლებლობა.

მოლაპარაკებამ, რაც მოსკოვში მიმდინარე წლის აპრილში გაიმართა ავსტრიის მთავრობის დელეგაციასთან, რომელსაც ფედერალური კანცლერი ი. რააბი მეთაურობდა, გამოიწვია, როგორც ცნობილია, ავსტრიის საკითხის საბოლოო მოწესრიგება. ეს მოლაპარაკება მიმდინარეობდა ნამდვილი ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის სულისკვეთებით. მან უზრუნველყო ავსტრიის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა უაღრესად დიდმნიშვნელოვანი პრობლემის წარმატებით გადაჭრა. ამასთან მოწესრიგდა აგრეთვე სერიოზული ეკონომიური საკითხები.

ხელშეკრულების თანახმად, ავსტრია განთავისუფლებულია რეპარაციების გადახდისაგან. მაგრამ აქ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გერმანიის ყოფილი საკუთრების საკითხს. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ახლა ეს საკითხიც მოწესრიგებულია ოთხ სახელმწიფოსა და თვით ავსტრიას შორის სრული თანხმობით.

საბჭოთა მთავრობა ცდილობდა, რომ არ გადადებულიყო არა მარტო ავსტრიის საკითხის გადაჭრა, არამედ გერმანიის საკითხის გადაჭრაც. მაგრამ ეს ახლანდელ პირობებში განუხორციელებელი აღმოჩნდა.

თუ 1955 წელი ავსტრიის საკითხის საბოლოო მოწესრიგების წელია, არ შეიძლება ითქვას, რომ წელს ჩვენ წინ წავიწიეთ გერმანიის საკითხის გადაჭრაში. აქ წამოიჭრა ახალი დაბრკოლებანი, რომლებიც სერიოზულად ართულებენ მდგომარეობას. შეიქმნა აგრესიული გერმანული მილიტარიზმის აღორძინების საფრთხე, რაც ევროპის მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებს აიძულებს ახალი ღონისძიებანი განახორციელონ თავიანთი უშიშროების უზრუნველსაყოფად.

საბჭოთა კავშირი კვლავაც ეცდება გამონახოს გერმანიის საკითხის მშვიდობიანი და დემოკრატიული მოწესრიგების გზები, გამონახოს ისეთი გზები, რომლებიც დააკმაყოფილებენ გერმანელი ხალხის კანონიერ მისწრაფებას გერმანიის ერთიანობის აღდგენისადმი, ისე რომ არ აღორძინდეს გერმანული მილიტარიზმი. გერმანიის საკითხის მხოლოდ ასეთი გადაჭრა სავსებით შეესაბამება გერმანიის, როგორც ერთიანი სახელმწიფოს, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აღდგენის ინტერესებს და ამასთანავე ევროპის მშვიდობის ნამდვილ განმტკიცებას.

არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ ყოველი ნაბიჯი, რომელიც ანელებს საერთაშორისო ვითარების დაძაბულობას, შეესაბამება ახლა ხალხთა ყველაზე ძლიერ მისწრაფებას. ავსტრიის ხელშეკრულების დადება ხელს შეუწყობს საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელებას და ეს არის მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა.

ყველამ იცის, რომ ახლა შეერთებულ შტატებს, ინგლისს, საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის წარმოებს მოლაპარაკება მთავრობათა მეთაურების მომავალი თათბირის შესახებ. ამისადმი დადებითი დამოკიდებულება უკვე გამოთქვა ოთხივე მთავრობამ. ასეთი თათბირის მიზანი ის არის, რომ ხელი შეუწყოს იმ ნაბიჯებსა და კონკრეტულ ღონისძიებებს, რომლებიც შეესაბამება ხალხთა მისწრაფებას საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისადმი.

ეს სავსებით შეესაბამება საბჭოთა მთავრობის მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას, რომელიც მუდამ იცავს საყოველთაო მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების ინტერესებს. ამას თვალნათლივ მოწმობს საბჭოთა კავშირის ყველა ახალი ნაბიჯი, რომელთაგან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საბჭოთა კავშირის უკანასკნელი წინადადებანი, რომლებიც შეიცავენ შეიარაღების საყოველთაო შემცირების, ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის და საერთაშორისო კონტროლის დაწესების კონკრეტულ გეგმას, რაც შეესაბამება საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების ინტერესებს.

ავსტრიის ხელშეკრულების ხელისმოწერა უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენაა. ამ საქმის მომზადების წარმატებით დამთავრება კიდევ ერთი მაჩვენებელია მომწიფებული საერთაშორისო პრობლემათა მოწესრიგების საქმეში არსებული შესაძლებლობებისა.

ევროპის ხალხები და მთელი მსოფლიოს ხალხები არსებულ საერთაშორისო საკითხთა გადაჭრას მოელიან არა ახალი ატომური ომის მომზადების გზით, არა ამა თუ იმ სამხედრო ავანტიურის გზით. ავსტრიის ხელშეკრულება ნათლად გვიჩვენებს, რომ არსებობს ამ საკითხთა გადაჭრის ისეთი გზები, რომლებიც სხვა მიმართულებით მიდიან, შეესაბამებიან უშუალოდ დაინტერესებული ხალხების ნამდვილ მისწრაფებას და ამასთანავე ყველა სხვა ხალხის ინტერესებს, მიუხედავად მათი სახელმწიფოების საზოგადოებრივი წყობილებისა.

ახლა ჩვენ ვიცით, რომ ავსტრია არ მიიღებს მონაწილეობას რაიმე სამხედრო ბლოკში და არ დაუშვებს უცხოელთა ბაზების არსებობას თავის ტერიტორიაზე. არ შეიძლება, რომ ეს არ ახარებდეს ავსტრიელ ხალხს.

ხელშეკრულების თანახმად ავსტრია არ მოახდენს დისკრიმინაციას თავის ვაჭრობაში სხვა სახელმწიფოებთან. არ შეიძლება არ ვაღიაროთ დიდი მნიშვნელობა ამ გადაწყვეტილებისა, რომელსაც მხარი დაუჭირეს საბჭოთა კავშირმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ინგლისმა და საფრანგეთმა.

ყოველივე ეს იმის ხელსაყრელ წინაპირობებს ქმნის, რომ ავსტრიელმა ხალხმა იცხოვროს მშვიდობის, დემოკრატიული განვითარებისა და თავისი ეროვნული ეკონომიკის აღმავლობის პირობებში. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე სხვა ქვეყნებთან ავსტრიის მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განვითარებისათვის.

ყოველივე ამან უნდა განამტკიცოს მეგობრული ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და ავსტრიას შორის ორივე სახელმწიფოს ხალხთა სასარგებლოდ, საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების სასარგებლოდ.

ნება მიბოძეთ ვუსურვო ავსტრიელ ხალხს ყოველი წარმატება მისი ეკონომიკის, ეროვნული კულტურის შემდგომ აღმავლობასა და სხვა ხალხებთან პოლიტიკური და ეკონომიური თანამშრომლობის განვითარებაში ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის.

* * *

მოკლე სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰ. მაკმილანმა, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჯ. დალესმა, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. პინემ და ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლ. ფიგლმა.

ხელის მოწერის ცერემონიის დამთავრების შემდეგ ვ. მ. მოლოტოვი, ჰ. მაკმილანი, ჯ. დალესი, ა. პინე, ავსტრიის კანცლერი ი. რააბი, ვიცე-კანცლერი ა. შერფი და ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრი ლ. ფიგლი ბელვედერის სასახლის აივნიდან მიესალმნენ ვენის მცხოვრებთ, რომელნიც შეიკრიბნენ სასახლის პარკსა და ახლომახლო ქუჩებში.

სასახლის აივანზე სახელმწიფოთა წარმომადგენლების გამოჩენას, რომლებმაც ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, აღფრთოვანებული ოვაციითა და მისასალმებელი შეძახილებით შეხვდა ავსტრიის დედაქალაქის ათეულ ათასობით მოქალაქე.

# ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი ვენაში ავსტრიის წარმომადგენელთან ერთად

ვენა, 14 მაისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს ვენაში გაიმართა ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი ავსტრიის სახელმწიფო ხელშეკრულების განსახილველად და ხელმოსაწერად. თათბირში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე ავსტრიის წარმომადგენელმა.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი თათბირზე იყო საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. მ. მოლოტოვი, ამერიკის შეერთებული შტატებისა — სახელმწიფო მდივანი ჯ. დალესი, ინგლისისა — საგარეო საქმეთა მინისტრი ჰ. მაკმილანი, საფრანგეთისა — საგარეო საქმეთა მინისტრი ა. პინე, ავსტრიისა — საგარეო საქმეთა მინისტრი ლ. ფიგლი.

სსრ კავშირის დელეგაციის შემადგენლობაში შედიან: საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი და სსრ კავშირის ელჩი ავსტრიაში ი. ი. ილიჩოვი; ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის შემადგენლობაში — ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ავსტრიაში ლ. ტომპსონი, სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ლ. მერჩენტი, სახელმწიფო დეპარტამენტის მრჩეველი დ. მაკარტური; ინგლისის დელეგაციის შემადგენლობაში — ინგლისის ელჩი ავსტრიაში დ. უოლინგერი, ინგლისის ელჩი სსრ კავშირში უ. ჰეიტერი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის თანაშემწე გ. კაჩია; საფრანგეთის დელეგაციის შემადგენლობაში — საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი რ. მასიგლი, საფრანგეთის ელჩი სსრ კავშირში ლ. ჟოქსი, საფრანგეთის საქმეთა რწმუნებული ავსტრიაში რ. ლალუეტი.

სხდომას თავმჯდომარეობდა ვ. მ. მოლოტოვი. მან შეიტანა წინადადება, რომ სხდომა დაიწყოს ოთხი სახელმწიფოს ელჩთა თათბირზე მომზადებულ ხელშეკრულების ტექსტში შესაძლო შენიშვნების განხილვით. დალესმა, აგრეთვე პინემ და მაკმილანმა განაცხადეს, რომ შემოაქვთ წინადადება მიღებულ იქნას ხელშეკრულების ის ტექსტი, რომელიც მომზადდა ელჩების აღნიშნულ თათბირზე. ლ. ფიგლმა განაცხადა, რომ ავსტრიის მთავრობის თხოვნაა ამოღებულ იქნას ხელშეკრულების ტექსტიდან პრეამბულის მესამე აბზაცი, რომელიც შეეხება წარსულ ომში ავსტრიის მონაწილეობის საკითხს.

ვ. მ. მოლოტოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა დელეგაციას არაფერი აქვს საწინააღმდეგო ავსტრიის დელეგაციის ამ წინადადებისა, თუ სხვა დელეგაციებიც დაეთანხმებიან მას.

დალესმა, პინემ და მაკმილანმა განაცხადეს, რომ მათ არაფერი აქვთ ამ წინადადების საწინააღმდეგო.

რამდენადაც არ იყო სხვა შენიშვნები ხელშეკრულების ტექსტის გამო, თავმჯდომარემ ვ. მ. მოლოტოვმა გამოაქვეყნა პირველი ხუთი პუნქტი მემორანდუმისა, რომელსაც მოსკოვში ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციამ და ავსტრიის მთავრობის დელეგაციამ და რომლის შინაარსი ეცნობა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებს. ამ პუნქტებში ნათქვამია:

„1. იმ განცხადების შესაბამისად, რომელიც ავსტრიამ უკვე გააკეთა ბერლინის თათბირზე 1954 წელს იმის შესახებ, რომ არ შეუერთდება სამხედრო კავშირებს და არ დაუშვებს

(დასასრული მე-4 გვერდზე).

# ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი ვენაში ავსტრიის წარმომადგენელთან ერთად

(დასასრული).

თავის ტერიტორიაზე სამხედრო ბაზებს, ავსტრიის ფედერალური მთავრობა გააკეთებს დეკლარაციის ფორმით, რომელიც ავსტრიას აკისრებს საერთაშორისო ვალდებულებას, რომ ავსტრია მუდამ დაიცავს ისეთ ნეიტრალიტეტს, როგორსაც იცავს შვეიცარია.

2. ავსტრიის ფედერალური მთავრობა ფედერალური კონსტიტუციის დადგენილებათა შესაბამისად ავსტრიის პარლამენტს წარუდგენს ავსტრიის ამ დეკლარაციას, რათა მიიღოს გადაწყვეტილებანი მის შესახებ უშუალოდ ავსტრიის სახელმწიფო ხელშეკრულების რატიფიკაციის შემდეგ.

3. ფედერალური მთავრობა გადადგამს ყველა შესაბამის ნაბიჯს იმისათვის, რომ ავსტრიის პარლამენტის მიერ დადასტურებულმა ამ დეკლარაციამ საერთაშორისო აღიარება ჰპოვოს.

4. ავსტრიის ფედერალური მთავრობა მიესალმება ოთხი დიდი სახელმწიფოს მიერ ავსტრიის სახელმწიფო ტერიტორიის მთლიანობისა და ხელშეუხებლობის გარანტიების მიცემას.

5. ავსტრიის ფედერალური მთავრობა ეცდება, რომ საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებმა გააკეთონ ასეთი განცხადება ოთხი დიდი სახელმწიფოს გარანტიის შესახებ".

ვ. მ. მოლოტოვმა გამოთქვა რწმენა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და ინგლისის წარმომადგენლნი იზიარებენ იმ წინადადებებს, რომლებიც ავსტრიის მთავრობამ ჩამოაყალიბა საბჭოთა კავშირ-ავსტრიის მემორანდუმის ხსენებულ ხუთ პუნქტში.

დალესმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა იცნობს ამ მემორანდუმის შინაარსს და რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს არაფერი აქვთ იმის საწინააღმდეგო, რომ ავსტრიამ დაიცვას ის გზა, რომელიც აღნიშნულია მემორანდუმში.

პინემ და მაკმილანმა განაცხადეს, რომ მათ არა აქვთ პრინციპულად რაიმე საწინააღმდეგო ავსტრიის განზრახვისა გამოვიდეს მემორანდუმში მოხსენიებული დეკლარაციით, მაგრამ მათ სურთ იცოდნენ ავსტრიის ამ დეკლარაციის ფორმულირება.

ვ. მ. მოლოტოვმა აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრები დაეთანხმნენ ავსტრიის განზრახვას მუდამ დაიცვას ნეიტრალიტეტი შვეიცარიის მაგალითისამებრ. ვ. მ. მოლოტოვმა აღნიშნა, რომ ამასთან დაკავშირებით სასურველი იქნებოდა აგრეთვე დადგენილიყო, რა მოეთხოვებათ ოთხი სახელმწიფოს მთავრობებს ნეიტრალიტეტის შესახებ ავსტრიის დეკლარაციასთან დაკავშირებით. ვ. მ. მოლოტოვმა გამოაქვეყნა ოთხი სახელმწიფოს შესაბამისი განცხადების საბჭოთა პროექტი. ამ პროექტში ნათქვამია:

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობათა განცხადება.

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის შეერთებული სამეფოსა და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობები ამით აცხადებენ, რომ საბჭოთა კავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი პატივს სცემენ და დაიცავენ ავსტრიის ისეთი მუდმივი ნეიტრალიტეტის სტატუსს, როგორსაც იცავს შვეიცარია თავის ურთიერთობაში სხვა სახელმწიფოებთან".

დალესმა თქვა, რომ მას სასარგებლოდ მიაჩნია, რომ საბჭოთა დელეგაციამ წარმოადგინა ოთხი სახელმწიფოს განცხადების პროექტი. მან გადადო თავისი აზრის გამოთქმა მანამდე, სანამ ცნობილი გახდება ავსტრიის პარლამენტის თვალსაზრისი. მაგრამ დალესმა დასძინა, რომ პრინციპულად მას არაფერი აქვს საწინააღმდეგო განცხადების პროექტისა, რომელიც საბჭოთა კავშირის დელეგაციამ წარმოადგინა.

ასეთივე აზრი გამოთქვეს პინემ და მაკმილანმა.

ამის შემდეგ სიტყვა აიღო ლ. ფიგლმა. მან განაცხადა, რომ ავსტრიის მთავრობა ავსტრიის პარლამენტს განსახილველად წარუდგენს დეკლარაციას ნეიტრალიტეტის შესახებ მოსკოვის შეთანხმების შესაბამისად. მან განაცხადა აგრეთვე, რომ მზად არის გადასცეს ოთხი სახელმწიფოს დელეგაციას ამ თათბირზე ამ დეკლარაციის წინასწარი პროექტი.

ვ. მ. მოლოტოვის კითხვაზე, ხომ არა სურს ავსტრიის მთავრობის დელეგაციას გამოთქვას თავისი თვალსაზრისი ოთხი სახელმწიფოს განცხადების პროექტის გამო, ფიგლმა უპასუხა, რომ ავსტრიის მთავრობა სავსებით ეთანხმება პროექტს, რომელიც საბჭოთა კავშირის დელეგაციამ წარადგინა.

შეთანხმდნენ, რომ ავსტრიის მთავრობის დელეგაცია თათბირის მონაწილეებს წარუდგენს ნეიტრალიტეტის შესახებ ავსტრიის მთავრობის დეკლარაციის წინასწარ პროექტს. თავის მხრივ ვ. მ. მოლოტოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა დელეგაცია თათბირის მონაწილეებს წერილობითი სახით წარუდგენს ოთხი სახელმწიფოს განცხადების პროექტს, რომელიც მან შემოიტანა.

შემდეგ თათბირის მონაწილენი შეუდგნენ იმ საკითხების განხილვას, რომლებიც შეეხება ავსტრიის სახელმწიფო ხელშეკრულების მომავალი ხელმოწერის პროცედურას.

მიღებულ იქნა ავსტრიის დელეგაციის მეთაურის ლ. ფიგლის წინადადება იმის შესახებ, რომ სახელმწიფო ხელშეკრულების ხელმოწერა მოხდეს 15 მაისს დილის 11 საათსა და 30 წუთზე ბელვედერის სასახლეში.

შემდეგ დალესმა შეიტანა წინადადება, რომ თვითეული საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება ხელშეკრულების ხელმოწერის დროს გაგრძელდეს არაუმეტეს ორი წუთისა. ვ. მ. მოლოტოვმა თქვა, რომ საბჭოთა დელეგაცია მიესალმება როგორც იმ განცხადებებს, რომლებიც გაგრძელდება ორ წუთს, ისე იმათაც, რომლებიც გაგრძელდება უფრო მეტ ხანს.

პინემ და მაკმილანმა განაცხადეს, რომ ისინი ეთანხმებიან როგორც დალესის, ისე ვ. მ. მოლოტოვის ნათქვამს.

ამის შემდეგ თათბირი დაიხურა.

# სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა ვენაში

ვენა, 15 მაისი. (საკდესი). 14 მაისს საღამოს ვენაში მოხდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ვ. მ. მოლოტოვის, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ჯ. დალესის, ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის ჰ. მაკმილანის, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. პინეს შეხვედრა, რომლის შემდეგაც მინისტრებმა გადაწყვიტეს გამოაქვეყნონ შემდეგი კომუნიკე:

სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრების საუბრის დროს მიღწეულ იქნა საერთო თანხმობა სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობათა მეთაურების თათბირის მიზნებისა და მეთოდების საკითხზე. ამ საკითხის დეტალების განხილვა გრძელდება.

# ავსტრიის მთავრობამ დააჯილდოვა საბჭოთა ოფიცრები

ვენა, 14 მაისი. (საკდესი). ვენის პრესა თვალსაჩინო ადგილას აქვეყნებს ცნობას, რომ გუშინ ფედერალურმა კანცლერმა რააბმა ავსტრიის მთავრობის ჯილდოები გადასცა საბჭოთა ოფიცრების ჯგუფს იმისათვის, რომ მათ თავდადებული დახმარება გაუწიეს ავსტრიელ ხალხს შარშან ივლისში წყალდიდობის დროს.

ჯილდოების გადაცემას საბჭოთა კავშირის მხრივ დაესწრნენ სსრ კავშირის ელჩი და უმაღლესი კომისარი ავსტრიაში ი. ი. ილიჩოვი, უმაღლესი კომისრის მოადგილეები ვ. მ. კრასკევიჩი, გენერალ-ლეიტენანტი ი. ი. ბოიკოვი და გენერალ-მაიორები ვ. მ. ვავილოვი და ს. ს. ჩერნიჩენკო.

ავსტრიის მხრივ დაესწრნენ შინაგან საქმეთა მინისტრი ჰელმერი და ფედერალური კანცლერის კანცელარიის პასუხისმგებელი მუშაკები.

გადასცა რა ჯილდოები საბჭოთა ოფიცრებს, კანცლერმა რააბმა განაცხადა:

„განსაკუთრებით სასიხარულო მოვლენად მიმაჩნია ფედერალური პრეზიდენტის სახელით გადმოგცეთ ავსტრიის რესპუბლიკის ჯილდოები. სტიქიურ კატასტროფასთან დაკავშირებით შარშან თქვენ პირადად და თქვენმა ჯარებმა უდიდესი დახმარება გაუწიეთ ავსტრიის მოსახლეობას. თქვენ ძალღონის დაუზოგავად დაეხმარეთ ღარიბ ადამიანებს სიცოცხლისა და ქონების გადარჩენაში. ჩემს მოვალეობად მიმაჩნია გადმოგცეთ ჯილდოები თქვენი მოქმედებისა და თქვენი შრომისათვის".

შემდეგ კანცლერმა რააბმა „დიდი ოქროს საპატიო ნიშანი" გადასცა ტულნის კომენდანტს პოლკოვნიკ ს. კ. გეორგიევსკის, „ვერცხლის საპატიო ნიშანი" კაპიტან ა. ს. პანჩუკს, ოქროს ნიშნები უფროს ლეიტენანტებს ვ. ნ. იშჩენკოს, ვ. ი. კობოზევს, ბ. ა. სმირნოვსა და კაპიტან ა. ვ. ტიხონოვს.

პოლკოვნიკმა გეორგიევსკიმ დაჯილდოებულთა სახელით მადლობა გადაუხადა ჯილდოებისათვის კანცლერ რააბსა და ავსტრიის მთავრობას.

# არგენტინაში ჩავიდა საბჭოთა დელეგაცია

ბუენოს-აირესი, 14 მაისი. (საკდესი). გუშინ ბუენოს-აირესში ჩამოვიდა საბჭოთა დელეგაცია, რათა მონაწილეობა მიიღოს ბუენოს-აირესის სამრეწველო გამოფენის გახსნაში. გამოფენა გაიხსნება მიმდინარე წლის 21 მაისს.

დელეგაციას მეთაურობს სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე მ. რ. კუზმინი. დელეგაციის შემადგენლობაში არიან საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პ. მ. ჟუკოვსკი, რუსეთის სფსრ ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის მინისტრის მოადგილე ვ. ვ. ანუფრიევი, სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს განყოფილების უფროსი ხ. ი. ბროვკინი.

საბჭოთა დელეგაციას აეროდრომზე შეხვდნენ არგენტინის ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ტიბილეტი, მრეწველობის მინისტრის მოადგილე კოლომბესი, სსრ კავშირის ელჩი არგენტინაში რეზანოვი, სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი მანჟულო, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, რუმინეთის, ბულგარეთის დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, არგენტინის საგარეო საქმეთა სამინისტროს და ვაჭრობის სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები, საქმიანი წრეების წარმომადგენლები, სსრ კავშირის საელჩოს და სავაჭრო წარმომადგენლობის პასუხისმგებელი თანამშრომლები.

# მოსკოვიდან დაბრუნდნენ ელბაზე შეხვედრის ამერიკელი ვეტერანები

ნიუ-იორკი, 15 მაისი. (საკდესი). ელბაზე შეხვედრის ამერიკელ ვეტერანთა ჯგუფი 15 მაისს ნიუ-იორკში დაბრუნდა მოსკოვიდან. მგზავრობის მონაწილემ ჯოზეფ პოლოვსკიმ აეროდრომზე თქვა, რომ მომხდარი შეხვედრა ხელს შეუწყობს მშვიდობის საქმეს და ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გაუმჯობესებას. პოლოვსკიმ თავის განცხადებაში მადლობა გადაუხადა ელბაზე შეხვედრის საბჭოთა ვეტერანებს სტუმართმოყვარეობისათვის, რომელიც მათ გამოიჩინეს, აგრეთვე მადლობა გადაუხადა იმ ამერიკელებს, რომლებმაც ფულადი დახმარებით ხელი შეუწყეს ამ მგზავრობის განხორციელებას. ჩვენი მგზავრობის წარმატება, თქვა პოლოვსკიმ, საშუალებას გვაძლევს იმედი ვიქონიოთ, რომ გამოინახება იმის შესაძლებლობა, რომ ელბაზე შეხვედრის საბჭოთა მონაწილენი გაისად საპასუხო ვიზიტით ჩამოვიდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში.

კორესპონდენტთა მრავალი შეკითხვის პასუხად ჯგუფის მონაწილეებმა დაწვრილებით ილაპარაკეს მოსკოვში ყოფნაზე, ამასთან ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რა გულითადად მიიღეს ისინი საბჭოთა კავშირში.

# ჩეხოსლოვაკიის ხალხი ერთსულოვნად მიესალმება ვარშავის თათბირის გადაწყვეტილებებს

პრაღა, 15 მაისი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის ხალხი სიხარულით შეხვდა ვარშავის თათბირის გადაწყვეტილებებს, რომელთა მიზანია ევროპის ხალხთა, მათ შორის ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფა. ვარშავის თათბირის შედეგები ჩეხოსლოვაკიის პრესისა და რადიოს ყურადღების ცენტრშია.

ჩეხოსლოვაკიის ხალხი, ხაზგასმით აღნიშნავს „რუდე პრავო", ამაყობს იმით, რომ იგი მტკიცედ დგას მშვიდობისმოყვარე ქვეყნების ფრონტში. ეს ფრონტი თავისუფლების, პროგრესისა და მშვიდობის უძლეველი ბურჯია სოციალიზმის ბანაკის ხალხთათვის, ჩვენი ხალხისა და მთელი კაცობრიობისათვის. ჩეხოსლოვაკიის მუშათა კლასი, მთელი ჩვენი ხალხი, ჩეხოსლოვაკიის არმია ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ დადებული ხელშეკრულება გახდეს ურყევი საფუძველი მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა საერთო მეცადინეობისა, რომელნიც მზად არიან მოიგერიონ ყოველგვარი აგრესიული ცდა, მზად არიან უზრუნველყონ მშვიდობა და უშიშროება ევროპაში, განამტკიცონ მშვიდობა მთელ მსოფლიოში.

# გამოხმაურება რუმინეთში ვარშავის თათბირის შედეგების გამო

ბუქარესტი, 15 მაისი. (საკდესი). რუმინეთის პრესის ყურადღების ცენტრშია ევროპის სახელმწიფოების თათბირი ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ, რომელიც ვარშავაში დამთავრდა.

რუმინელი ხალხი, წერს „სკინტეია", მიესალმება და სულით და გულით უჭერს მხარს ვარშავის ხელშეკრულებას, რომელიც აძლიერებს მის რწმენას მომავლისადმი, უშიშროებისადმი, ევროპასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმის გამარჯვებისადმი. რუმინეთის დელეგაციის ხელმოწერას ვარშავის ხელშეკრულებაზე რუმინელი ხალხი განამტკიცებს ახალი გმირული საქმეებით სამშობლოს აყვავებისათვის, მისი თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის, ხალხთა თანამშრომლობის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

# იუგოსლავიის პრესა სსრ კავშირისა და იუგოსლავიის წარმომადგენელთა მომავალი შეხვედრის შესახებ

ბელგრადი, 14 მაისი. (საკდესი). გაზეთი „ბორბა" მოწინავის ადგილზე აქვეყნებს ცნობას 1955 წლის მაისის დამლევს ბელგრადში სსრ კავშირისა და იუგოსლავიის წარმომადგენელთა მომავალი შეხვედრის შესახებ უმაღლეს დონეზე.

„იუგოსლავიისა და საბჭოთა კავშირის მთავრობების წარმომადგენელთა მომავალი შეხვედრა უმაღლეს დონეზე, რაც მოხდება მაისის დამლევს ბელგრადში, — წერს „ბორბა", — მნიშვნელოვანი საერთაშორისო მოვლენა იქნება. ეს მოვლენა უწინარეს ყოვლისა იმის შედეგია, რომ ამჟამად საერთაშორისო მდგომარეობა დადებითად ვითარდება. არავითარი ეჭვი არ არის, რომ იგი ხელს შეუწყობს საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომ შენელებას და სახელმწიფოებს შორის მშვიდობისმოყვარული თანამშრომლობის განვითარებას თანასწორუფლებიანობის საფუძველზე.

ეს არის აქტიური საერთაშორისო თანაარსებობის პოლიტიკის ახალი მნიშვნელოვანი გამოვლინება.

ბელგრადის შეხვედრა შესაძლებელს გახდის მოხდეს აზრთა გაცვლა საერთაშორისო პრობლემებზე და გადაწყდეს ღია სახელმწიფოთაშორისო საკითხები, რომლებიც არსებობს სსრ კავშირსა და იუგოსლავიას შორის, და ამით ხელს შეუწყობს როგორც იუგოსლავია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შემდგომ გაუმჯობესებას, ისე მსოფლიოში დაძაბულობის შემდგომ შენელებას".

გაზეთი „პოლიტიკა", ეხება რა სსრ კავშირისა და იუგოსლავიის მთავრობათა წარმომადგენლების მომავალ შეხვედრას, წერს:

„საბჭოთა კავშირსა და იუგოსლავიას შორის ურთიერთობის ნორმალიზაციის პროცესს მას შემდეგ, რაც გადაწყდა მთავრობათა დელეგაციების შეხვედრა, ახალი იმპულსი ეძლევა. მოლაპარაკება, რომელიც იწარმოებს უმაღლეს დონეზე, იმის დამამტკიცებელი იქნება, რომ ორივე ქვეყანას სურს შეუდგნენ სადავო საკითხების რადიკალურ გადაჭრას, რომლებიც ხელს უშლიდნენ ჩვენი ქვეყნების ნორმალური და მეგობრული ურთიერთობის განვითარებას.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მაისის შეხვედრას ბელგრადში, განაგრძობს გაზეთი, მოჰყვება ისეთი შედეგები, რომლებიც ხელს შეუწყობენ იმას, რომ საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ურთიერთობაში დადგება ხანგრძლივი ნდობა და თანამშრომლობა".

# საფრანგეთის 137 საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწის წერილი ედგარ ფორისადმი

პარიზი, 14 მაისი. (საკდესი). გერმანიის პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრისათვის ბრძოლის საფრანგეთის კომიტეტის ინიციატივით საფრანგეთის თვალსაჩინო საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეების ჯგუფმა წერილი გაუგზავნა მთავრობის მეთაურს ედგარ ფორს. წერილში ნათქვამია:

„მოღვაწეთა ჯგუფმა, რომლებიც თქვენ მოგმართავენ, საერთო ბრძოლისათვის გააერთიანა სხვადასხვა რწმენის ფრანგები, რომლებიც თანაბრად ზრუნავენ, რათა არ დაუშვან გერმანიის შეიარაღება და მიაღწიონ გერმანიის პრობლემის მშვიდობიან გადაჭრას.

ჩვენ ვიბრძოდით ევროპის თავდაცვითი გაერთიანების წინააღმდეგ, აგრეთვე ლონდონისა და პარიზის შეთანხმებათა წინააღმდეგ, რადგან დარწმუნებული ვართ, რომ გერმანიის შეიარაღება გათიშული ევროპის ცენტრში ომის საფრთხეს შეიცავს. ჩვენ ვიბრძოდით ამ შეთანხმებათა წინააღმდეგ, რადგან დარწმუნებული ვართ, რომ მათი განხორციელება გამოიწვევს იმას, რომ მსხვერპლად იქნება მიტანილი საფრანგეთის ეროვნული ინტერესები და დამოუკიდებლობა.

თუმცა ჩვენი ხალხის ნათლად გამოთქმული ნების შედეგად ევროპის თავდაცვითი გაერთიანების შექმნის გეგმები საბოლოო ანგარიშით ჩაიფუშა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ექვსი თვის შემდეგ პარლამენტმა მოიწონა ლონდონისა და პარიზის შეთანხმებანი.

მაგრამ თქვენ რესპუბლიკის საბჭოში გამოაცხადეთ, რომ თქვენი მთავრობა აპირებს გამონახოს აღმოსავლეთის სახელმწიფოებთან მოლაპარაკების გზები.

ჩვენ ვწუხვართ, რომ ნაცვლად იმისა, რომ ყველაფერი დაუმორჩილოს ამ მიზანს, მთავრობამ ნაჩქარევად გადასცა შესანახავად სარატიფიკაციო სიგელები (პარიზის შეთანხმებათა სარატიფიკაციო სიგელები. — რედ.), თუმცა არ შესრულებულა ის პირობები, რომლებიც მთავრობას საჭიროდ მიაჩნდა, და ვალდებულებანი, რომლებიც მან პარლამენტის წინაშე იკისრა. ამრიგად, საფრანგეთის მთავრობამ დაკარგა საშუალებანი, რომელთა დახმარებით მას კიდევ შეეძლო დაეცვა ერის სურვილები როგორც კანცლერ ადენაუერის, ისე მოკავშირე მთავრობათა წინაშე, რომელთა პოზიცია, კერძოდ ინდოჩინეთში, სერიოზულ შეშფოთებას იწვევს".

შემდეგ წერილში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ „ავსტრიის სახელმწიფო ხელშეკრულების მომზადება იმას ადასტურებს, რომ შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას ქვეყნის ერთიანობა და თავისუფლება, რომელიც ამჟამად ოკუპირებულია ოთხი სახელმწიფოს მიერ, ისე რომ ეს ქვეყანა არ შეუერთდეს რომელიმე სამხედრო კოალიციას".

„ეს პრეცედენტი, — ნათქვამია წერილში,— შეიძლება გამოყენებულ იქნას აგრეთვე გერმანიის მიმართ. აქ უთუოდ არის დიდი სიძნელეები. მაგრამ გზა გახსნილია და საჭიროა გავყვეთ ამ გზას. საფრანგეთის დიპლომატიისათვის დადგა მომენტი შეასრულოს თავისი როლი ამ საკითხში, რომელსაც ისტორიული და გეოგრაფიული პირობების გამო განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს საფრანგეთისა და მისი ღრმა ეროვნული ინტერესებისათვის.

გერმანიის პრობლემის მშვიდობიანი მოწესრიგება, ევროპის ყველა ხალხის კოლექტიური უშიშროების სისტემისა და ნამდვილი თანამშრომლობის ორგანიზაცია მოითხოვს დაუყოვნებლივ მოეწყოს ოთხი სახელმწიფოს მოლაპარაკება და ყოველივე ეს დამოკიდებულია ამ მოლაპარაკების წარმატებაზე.

ასეთი მოლაპარაკების მოწყობა წინ უნდა უძღოდეს გერმანიის შეიარაღებას და მისი მიზანი უნდა იყოს ხელი შეუშალოს ამ შეიარაღებას. ამ მოლაპარაკებამ უნდა გამოიწვიოს დადებითი შედეგები მანამდე, სანამ შეიარაღდებოდეს გერმანიის ორივე ნაწილი, რომლებიც, შედიან რა ერთმანეთის საწინააღმდეგო დაჯგუფებათა შემადგენლობაში, გააძლიერებენ მათს ანტაგონიზმს.

ასეთია იმ საფრთხის თავიდან აშორების აუცილებელი პირობები, რომელიც ჩვენს სამშობლოს ემუქრება, და საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობის უზრუნველყოფის შანსების შენარჩუნების აუცილებელი პირობები".

წერილს ხელს აწერს 137 საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე: მინისტრთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე, ეროვნული კრების დეპუტატი ედუარდ დალადიე, ეროვნული კრების დეპუტატები მორის ბენე, ანრი ბურე, რენე კასანი, ჟილბერ დე შამბრენი, ანდრე ლიოტე, რესპუბლიკის საბჭოს წევრები დებიუ-ბრიდელი, ანრი ტორესი, საფრანგეთის კავშირის კრების წევრი ადმირალი მულეკი, მინისტრთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე პოლ-ბონკური, ყოფილი მინისტრები პოლ ასტიე, რენე კაპიტანი, ჟიუსტენ გოდარი და ლუი მარენი, გენერალი პოლ ტიუბერი, მწერალი ვერკორი, საკასაციო სასამართლოს საპატიო თავმჯდომარე ლიონ-კანი, მედიცინის აკადემიის წევრი პროფესორი ბურგინიონი, ყოფილ ფრონტელთა რესპუბლიკური კავშირის თავმჯდომარე ფელიქს ბრენი, შრომის საყოველთაო კონფედერაციის მდივანი გასტონ მონმუსო და სხვა მოღვაწეები.

# სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მოჭადრაკეთა მომავალი შეხვედრა

როგორც ცნობილია, შარშან ნიუ-იორკში გაიმართა საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მოჭადრაკეთა გუნდების შეხვედრა. შეჯიბრების დამთავრების შემდეგ საბჭოთა მოჭადრაკეებმა ამერიკის შეერთებული შტატების მოჭადრაკეთა გუნდს სთხოვეს ჩამოსულიყო 1955 წელს მოსკოვში მეგობრული გუნდური მატჩის მოსაწყობად იმავე პირობებით, რომლებითაც მიმდინარეობდა ნიუ-იორკის მატჩი. ამერიკელი მოჭადრაკეები ამ მოწვევაზე დათანხმდნენ.

ახლა სსრ კავშირის ჭადრაკის სექცია და ამერიკის შეერთებული შტატების ჭადრაკის ფედერაცია შეთანხმდნენ, თუ როდის უნდა მოეწყოს ეს მატჩი მოსკოვში.

სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მოჭადრაკეთა მატჩი მოეწყობა 29 ივნისიდან 8 ივლისამდე. თვითეული გუნდის შემადგენლობაშია რვა ძირითადი და ორი სათადარიგო მონაწილე. შეჯიბრებას ექნება ოთხი ტური. თვითეული მონაწილე თავის დაფაზე ითამაშებს ოთხ პარტიას. სულ გათამაშდება 32 პარტია.

ამერიკის შეერთებული შტატების ჭადრაკის ფედერაციის ცნობით ამერიკის გუნდში არიან (დაფების მიხედვით): გროსმაისტერი ს. რეშევსკი, საერთაშორისო ოსტატები დ. ბირნი, ა. ბისგაიერი, ლ. ევანსი, რ. ბირნი, ი. გოროვიცი, გროსმაისტერი ი. კაშდენი, საერთაშორისო ოსტატი გ. სტეინერი. გუნდის პირველ სათადარიგო მონაწილედ დამტკიცებულია ოსტატი მ. პავეი. მეორე სათადარიგო მონაწილე გამოირკვევა ოსტატების ა. კევიცისა და შერვინის შეხვედრაში.

სსრ კავშირის ჭადრაკის სექციამ დაამტკიცა საბჭოთა მოჭადრაკეების გუნდი შემდეგი შემადგენლობით: გროსმაისტერები მ. ბოტვინიკი, ვ. სმისლოვი, დ. ბრონშტეინი, ე. გელერი, პ. კერესი, ტ. პეტროსიანი, მ. ტაიმანოვი, ა. კოტოვი და სათადარიგო მონაწილეები — გროსმაისტერები ი. ბოლესლავსკი და ი. ავერბახი. (საკდესი).

# სპორტის ამბები

## სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

ლენინგრადი. 15 მაისი. ლენინგრადის „ზენიტის" და თბილისის „დინამოს" გუნდების შეჯიბრება თამაშის პირველი წუთებიდანვე საინტერესოდ მიმდინარეობდა. ორივე გუნდის კართან ხშირად იქმნებოდა სახიფათო მომენტები. პირველი ტაიმის დამთავრებამდე 4 წუთით ადრე ა. ღოღობერიძემ თავური დარტყმით ბურთი „ზენიტის" კარში გაიტანა. მეორე ნახევარში მდგომარეობა არ შეცვლილა. მატჩი მოიგეს თბილისის დინამოელებმა 1:0.

მოსკოვი. 15 მაისი. დედაქალაქის „დინამოს" ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა XVII ჩემპიონატის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი. თამაშობდნენ ლიდერები — მოსკოვის „დინამო" და ცდსა. მატჩი დამთავრდა ფრედ 1:1.

კიევი. 15 მაისი. აქ შედგა საკავშირო პირველობის გათამაშების მორიგი ასპარეზობა. უკრაინის დედაქალაქის დინამოელთა წინააღმდეგ თამაშობდა მინსკის „სპარტაკი". შეჯიბრება დამთავრდა კიევის „დინამოს" გამარჯვებით 3:2.

სტალინო. 15 მაისი. მოსკოვის „ტორპედოსა" და სტალინოს „შახტიორის" გუნდების თამაში დამთავრდა ფრედ 1:1.

დღემდე გამართულ შეხვედრათა შედეგების მიხედვით პირველ ადგილზეა მოსკოვის „დინამო", მეორეზე — ცდსა, მესამეზე — „ტორპედო", მეოთხეზე — თბილისის „დინამო", მეხუთეზე — „შახტიორი".

## მეგობრობის მატჩი

რიგა. 14 მაისი. (სპეც. კორ.). დღეს აქ დაიწყო საქართველოსა და ლატვიის მძლეოსანთა ნაკრები კოლექტივების მეგობრობის ტრადიციული მატჩი. შედგა ამ ორი მოძმე რესპუბლიკის მძლეოსანთა პარადი. შეჯიბრების მონაწილეებს მიესალმნენ ლატვიისა და საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტების თავმჯდომარეები ე. ბაუმანისი და გ. სიხარულიძე.

პირველ დღეს გაიმართა შეჯიბრება მძლეოსნობის 13 სახეობაში. აქედან ლატვიელმა სპორტსმენებმა დაიკავეს 9 პირველი ადგილი, საქართველოს მძლეოსნებმა — 4 პირველი ადგილი.

ლატვიის გუნდმა პირველ დღეს მოაგროვა 79 ქულა, საქართველოს სპორტსმენთა კოლექტივმა — 64 ქულა.

ვაჟთა შორის 100 და 200 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა ლ. სანაძემ (საქართველო, 11,3, 21,9 წ.), ქალთა შორის — ს. ჟუმბურემ (ლატვია, 13,0, 26,5 წ.), ვაჟთა შორის 800 მეტრზე რბენაში პირველი ადგილი დაიკავა პ. კუდრიავცევმა (საქართველო, 1:56,2), ქალთა შორის — დ. ლევიცკამ (ლატვია, 2:18,2), 5.000 მეტრზე რბენაში — ი. ბერვისმა (ლატვია, 15:00,8), ვაჟთა შორის სიგრძეზე ხტომაში — ს. ქავთარაძემ (საქართველო, 6,83 მეტრი), ქალთა შორის — ი. იუხნევიჩმა (ლატვია, 5,31 მეტრი), ვაჟთათვის ბირთვის კვრაში — ი. დრობამ (ლატვია, 14,81 მეტრი), ქალთა შორის — მ. ბრიგმანემ (ლატვია 13,79 მეტრი), შუბის ტყორცნაში (ვაჟები) — ე. კრუზემ (ლატვია, 61,27 მეტრი), ქალთა შორის — ი. იაუნზემემ (ლატვია, 43,96 მეტრი).

შეჯიბრება მიმდინარეობდა არახელსაყრელ ამინდში (წვიმა, ძლიერი ქარი), რამაც გავლენა იქონია სპორტულ შედეგებზე. სუსტად გამოდის საქართველოს გუნდის ქალთა შემადგენლობა.

ლ. გიორგაძე.

## საქართველოს მოჭიდავეთა გამარჯვება

რიგის უნივერსიტეტის სასპორტო დარბაზში რამდენიმე დღეს გრძელდებოდა შეჯიბრება ჭიდაობა სამბოში საბჭოთა კავშირის 1955 წლის პირად-გუნდურ პირველობაზე. ჩემპიონატში მონაწილეობა მიიღო 9 გუნდმა, მათ შორის მოსკოვის, ლენინგრადის, საქართველოს და სხვ. გუნდებმა.

შეჯიბრება აღინიშნა საქართველოს მოჭიდავეთა კოლექტივის წარმატებით. ჩვენი რესპუბლიკის გუნდმა პირველი ადგილი და სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება მოიპოვა. მეორე ადგილზე გამოვიდა ლენინგრადის სპორტსმენთა კოლექტივი, მესამეზე — მოსკოვის გუნდი.

პირადი პირველობის გათამაშებაში საქართველოდან სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა 3 მოჭიდავე. ესენი არიან: უმჩატეს წონაში — ლ. კაციაშვილი, მსუბუქ წონაში — ი. გრატიაშვილი, მძიმე წონაში — ო. სინჯიკაშვილი.

# ოლღა დოლიძის შემოქმედებითი საღამო

გუშინ რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში გაიმართა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის, ესტრადის მსახიობთა საკავშირო კონკურსის ლაურეატის ოლღა დოლიძის სასცენო მოღვაწეობის 25 წლისთავის აღსანიშნავი შემოქმედებითი საღამო.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დირექტორმა კომპოზიტორმა გრ. კოკელაძემ. მოხსენება ოლღა დოლიძის სასცენო მოღვაწეობის შესახებ წაიკითხა დ. ბენაშვილმა. იუბილარს მიესალმნენ: რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის სახელით რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი თ. ბაქრაძე, მახარაძის სახელმწიფო თეატრის სახელით თეატრის დირექტორი ზ. ნაკაიძე, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ახალგაზრდა მსახიობთა სახელით თ. ლამბაშიძე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი ი. სუხიშვილი, მაყურებელთა სახელით საქართველოს ზოოვეტერინარული ინსტიტუტის სტუდენტი დ. ხეჩიკაშვილი.

მისალმებათა შემდეგ იუბილარმა მადლობა გადაუხადა მაყურებლებს.

დასასრულ გაიმართა დიდი მხატვრული განყოფილება. ოლღა დოლიძემ სხვა ნომრებთან ერთად განახორციელა პერსონაჟების: დუსია ხაზალის, აფროდიტა ჭულაძის, ალმასხან ცქვიტიძის, ზოზა იფრაიმოვის, შაქრო ასლამაზაშვილის როლები ახალი საესტრადო სანახაობიდან „ახალი მისამართი" (ავტორი ს. ფაშალიშვილი). საესტრადო სანახაობაში მონაწილეობდა მსახიობი ალ. მეწულიშვილი.

ოლღა დოლიძის შემოქმედებითმა საღამომ დიდი წარმატებით ჩაიარა.

## ახალი სპექტაკლი

15 მაისს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრმა მაყურებელს უჩვენა ახალი სპექტაკლი — პ. ჩაიკოვსკის ბალეტი „მხეკუნჩიკი", რომლის დადგმა ეკუთვნის სტალინური პრემიის ლაურეატს, სსრ კავშირის სახალხო არტისტს — ვ. ჭაბუკიანს, მხატვრობა — ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს კ. კუკულაძეს, დირიჟორია რესპუბლიკის სახალხო არტისტი ო. დიმიტრიადი.

მონაწილეობდნენ ვ. ჭაბუკიანი, სტალინური პრემიის ლაურეატი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ვ. წიგნაძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ვ. იავაშკინი, მსახიობები გ. ბეჟანიშვილი, ნ. ბალაშოვა, მ. გელიუსოვ ა. პავლოვსკი, ს. ბურავლიოვა, რ. მაღალაშვილი, ი. ქებაძე, რ. მაჩაიძე, ტ. სანაძე, ა. წერეთელი და სხვები.

## ფილოსოფიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტი 17, 18 და 19 მაისს აწყობს მორიგ სამეცნიერო სესიას. სესიაზე მოსმენილი იქნება 9 მოხსენება: საზოგადოებრივი და პირადი ინტერესების ერთიანობა სოციალიზმის დროს, საკითხი ზოგადობისა და ზოგადი მსჯელობის შესახებ, ენის როლის საკითხის შესახებ გრძნობადი შემეცნებიდან რაციონალურ შემეცნებაზე გადასვლის პროცესში, ცნებისა და მხატვრული სახის ურთიერთმიმართების შესახებ, მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზრის ისტორიიდან და სხვ.

სესიის სხდომები იწარმოებს დილის 11 საათიდან მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8).

რედაქტორი ნ. ჟაში.


სატყეო მრეწველობის სამინისტროს კლუბში
(კამოს ქ. № 37, მე-4 სართული)
1955 წლის 18 მაისს დილის 10 საათზე
**გაიხსნება სატყეო მრეწველობის სამეცნიერო ინჟინერ-ტექნიკური საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური განყოფილების საანგარიშო-საარჩევნო კონფერენცია**
კონფერენციის დელეგატთა რეგისტრაცია იწარმოებს 17 მაისს დილის 10 საათიდან საღამოს 18 საათამდე საქსატყეო მრეწველობისა და სატყეო მეურნეობის სამეცნიერო ინჟინერ-ტექნიკურ საზოგადოებაში („გრუზნიტოლეს") კამოს ქ. № 37, ოთახი № 41, ტელეფონი № 3-48-32.
**საქართველოს სატყეო მრეწველობისა და სატყეო მეურნეობის სამეცნიერო ინჟინერ-ტექნიკური საზოგადოება.**

მეუღლე მარო, შვილები ირინე, ნანული, თამაზ, თენგიზ იუწყებიან
გიორგი ალექსის-ძე ჯავახიშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 17, 18-V, 8 ს. გამოსვენება 19-V, 5½ ს. ფალიაშვილის ქ. № 22.

დედა ნინო, მეუღლე ქსენია, შვილები ნელი, ნუნუ, ენვერ, ვახტანგ ოჯახით იუწყებიან
ლავრენტი ივანეს-ძე ქვარცხავას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 19-V ჩხოროწყუში.

შვილები დარისპან, აბესალომ, იასონ, აგრაფინა, გიორგი, ვერა ოჯახებით იუწყებიან
ქეთევან თომას ასულ ჩიხლაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 19-V სოფ. გორდში (წულუკიძის რაიონი).

მეუღლე ცოცო, შვილები გიორგი, ნელი ოჯახით იუწყებიან
ლევან გუტიას-ძე აბაკელიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 17-V ხობში.

მეუღლე თინა, შვილები გურამ, გიორგი, ალექსანდრე იუწყებიან
ლევან ნიკიფორეს-ძე ასათიანის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 17, 18-V, 8 ს. მარჯანიშვილის ქ. № 4, გამოსვენება 19-V, 5 ს. მწერალთა სასახლიდან, მახაბლის ქ. № 13.

მეუღლე ალექსანდრა, შვილები ნადია, თამარ, ანიკო, თინა, მარო, გრიშა ოჯახებით და ნათესავებით იუწყებიან
პიმენ ბესარიონის-ძე ნემსაძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 18, 19-V, 8 ს. გამოსვენება 21-V, 6 ს. კერესელიძის ქ. № 25.

დედა მარო, მეუღლე ეკატერინე, შვილები ლენა, ლილი, ეთერ ღლონტები იუწყებიან
მიხეილ ვარლამის-ძე ღლონტის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 17, 18-V, 8 ს. ჩელუსკინელების ქ. № 11, გამოსვენება 19-V, 4 ს. თბილისის ოფიცერთა სახლიდან— რუსთაველის პროსპექტი.

მეუღლე დარიკო, შვილები კლარა, ანატოლი, შოთა, ვახტანგ ოჯახებით იუწყებიან
ვასილ ივანეს-ძე რეხვიაშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 19-V სოფელ განათლებაში (ლაგოდეხის რაიონი).

მშობლები გიგლა, კლარა ოჯახით იუწყებიან პატარა
თამაზ ლაშხის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 18-V, 8 ს. გამოსვენება 19-V, 6 ს. კამოს ქ. № 30.

შვილები შალვა, ცაბუ ოჯახებით იუწყებიან
ელენე ვახტანგის ასულ ბასილაია-ხარებავას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 17-V ქ. ზუგდიდში, გამოსვენება კომკავშირის ქ. № 6.

მეუღლე ერასტი, შვილები რუსუდან, ლაშა ოჯახებით იუწყებიან
მერი გიორგის ასულ მაცაბერიძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 17, 18-V, 8 ს. გამოსვენება 19-V, 6 ს. ახალი ჩუღურეთის ქ. № 23.


უე 04105

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.